პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 96 (11100) | ხუთშაბათი, 24 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

**სოფლის მეურნეობის მუშაკებო! კანონი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდის ახალ შესანიშნავ პერსპექტივებს სახავს. მტკიცედ იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა!**

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

## საქართველოს მეჩაიეთა საბრძოლო ამოცანა

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით საქართველოში შექმნილია მძლავრი ბაზა სამამულო ჩაის წარმოებისა, რომელიც ძვირფასია მთელი საბჭოთა კავშირისათვის. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, სახელოვანი მეჩაიეების წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა — მივაღწიოთ ჩაის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ათ წელიწადში ჩაის მოსავლიანობა ერთიორად გავადიდოთ, რომ 1967 წელს საქართველოში დამზადდეს 250.000 ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო წელს 125.000 ტონა.

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკა იძლევა საბჭოთა კავშირში წარმოებული მთელი ჩაის პროდუქციის 97 პროცენტს და იგი ქართულ ჩაიზე სსრ კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილების დაახლოებით სამ მეხუთედს აკმაყოფილებს. აქედან ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მეჩაიეობის შემდგომ განვითარებას.

ამ ამოცანებზე მკვეთრად გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობამ, რომლის რეზოლუციაში ნათქვამია: „განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტექნიკური კულტურების განვითარებას. ამ მიზნით საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს ჩაის და თამბაქოს პლანტაციების, ციტრუსოვანთა ნარგავების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლა, გადიდდეს მათი მოსავლიანობა, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ამ კულტურების ფართობების მაქსიმალური გადიდება".

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ ჩაის წარმოების დარგში დასახული საბრძოლო პროგრამის წარმატებით შესრულება. ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის სანიმუშოდ მომზადებაზე. წელს არ უნდა გამეორდეს გასული წლის ნაკლოვანებანი, არ უნდა დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული. ეს მით უფრო საჭიროა წელს, რადგან ჩვენმა მეჩაიეებმა უნდა მოკრიფონ 125.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 17 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან.

წელს მთელი რიგი რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ჩაის ფაბრიკები დროულად შეუდგნენ ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადებას. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა გასწიეს მახარაძის, ჩოხატაურის, ბათუმის, ქობულეთის რაიონებმა. ბათუმის რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობაში და ზოგიერთ კოლმეურნეობებში უკვე დაიწყეს ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფა. სალიბაურის ჩაის ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა სამ ტონაზე მეტი ნედლეული.

მახარაძელი მეჩაიეები ენერგიულად ემზადებიან სეზონისათვის. მათ დიდი მოვალეობა აკისრიათ ჩაის ფოთლის კრეფის რესპუბლიკური გეგმის შესრულებაში, რადგან მთელი გეგმის ერთი მეხუთედი მახარაძელებმა უნდა მისცენ მრეწველობას.

ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადებაში წინ არიან წალენჯიხის რაიონის ჯვარის, საჩინოს, ობუჯის, ფახულანის კოლმეურნეობები. წალენჯიხელებმა შარშან გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის დავალება, მაგრამ წელს რაიონში ყველგან კარგად როდია საქმე.

სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ წალენჯიხის პირველი ფაბრიკის სახურავი დაზიანებულია და წვიმის დროს ბრეზენტს აფარებენ, თექვსმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი უწესივრო მდგომარეობაშია, შეკეთება გააჭიანურეს. ჭალე-ფახულანის ჩაის ფაბრიკაში არა აქვთ მზა პროდუქციის საწყობი. გათვალისწინებული იყო მუშათა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მაგრამ ამ საქმეს დღემდე არაფერი ეშველა. ჯვარის ფაბრიკაში 1953 წლიდან შენდება წყლის აუზი და ისევ დაუმთავრებელია მშენებლობა.

რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას დღემდე საკმარისად არა აქვს მომარაგებული საკრეფი კალათები და გადასაზიდი ყუთები, წესრიგზე მოყვანილი არ არის ტრანსპორტი, მიმღები პუნქტები, საპლანტაციო გზები და სხვ.

ამოცანა ის არის, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, „საქართველოს ჩაის" ტრესტის ხელმძღვანელობამ, სანამ გვიან არ არის, მიიღონ გადამჭრელი ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის ყოველმხრივ მომზადების გადამწყვეტი დღეებია. დარჩენილი დრო შემოქმედებითად, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ წელს შეუფერხებლად მუშაობდნენ ჩვენი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ჩაის ფაბრიკები. უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88¹ მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147¹ მუხლის შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„88¹ ყოველგვარი მოქმედება, რაც პირდაპირი ან ფარული ფორმით არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას (ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, გაჩუქება, ანდერძით გადაცემა, იჯარით გაცემა, მიწის ნაკვეთის თვითნებურად დატაცება ან გაცვლა და სხვ.) — გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე და მიწის ნაკვეთის, რომელიც გარიგების საგანს წარმოადგენს, ამ ნაკვეთში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი სასყიდლის და თვითნებურად აშენებული ნაგებობის ჩამორთმევას".

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში მუხლი 147¹ შემდეგი შინაარსისა:

„147¹ უკეთუ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო ადგილებში ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე სახლის აშენებისას დარღვეულია სართულიანობის, ოთახების რაოდენობისა და ფართობის კანონით დაწესებული ნორმები, ნორმის ზევით აშენებული ოთახები და საცხოვრებელი ფართობი ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალურ ფონდში, ჩამორთმეულ საბინაო ფართობზე მცხოვრებ პირთა გამოსახლებით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1958 წ. 21 აპრილი.

## ლენინის სახელობისა...

ადრე იღვიძებს საქართველოს დედაქალაქი. სამრეწველო საწარმოთა მილები, ცის თაღს სვეტებად რომ შეჰყურებიან, ზანტად ბოლავენ ბინდბუნდში.

ლენინის სახელობის რაიონი — ინდუსტრიული საქართველოს გული. კარიბჭესთან — 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კორპუსები. როცა ქარხნის ეზოში ჩამწკრივებულ თვითმავალ შასებსა და ჩაის საკრეფ მანქანებს უყურებ, არ შეიძლება არ გაგახსენდეს დიდი ლენინის ოცნება 100 ათას ტრაქტორზე. დღეს ხორცშესხმულია ბელადის ნაოცნებარი. ბორკილაყრილი, თავისუფალი ხალხი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ნამდვილ სასწაულებს ახდენს. დღეს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს მინდვრებზე 1 მილიონ 700 ათასი ტრაქტორი გუგუნებს, 450 ათასზე მეტი მარცვლეულის კომბაინი იღებს მოსავალს, 660 ათასი ავტომობილი ეზიდება გამრჯე მარჯვენით მოყვანილ დოვლათს.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებით, ხალხთა ლენინური მეგობრობის მეოხებით შეემატა ინდუსტრიული მაჯისცემა საქართველოს. ყოველი თბილისელი სიამაყის გრძნობით გეტყვის, რომ აქ, ლენინის სახელობის რაიონში, 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა უშვებს მაღალხარისხოვან სამთაბარო უნივერსალურ თვითმავალ შასებს და ჩაის საკრეფ მანქანებს. ქარხნის კოლექტივი თავდადებით შრომობს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების გადიდებისათვის, მუშები დგანან საპირველმაისო ვახტზე. გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს, მალე ქარხნის ამწყობი საამქროს კორპუსიდან გამოვა ახალი მანქანა — სამთვლიანი ტრაქტორი, რომელზეც დაკიდებული იქნება ჩაის ბუჩქების სასხლავი უნივერსალური აპარატი.

ქარხნის საამქროებში ხალისიანი შრომა სუფევს. სოციალისტურმა სინამდვილემ შექმნა შესანიშნავი ადამიანები და არნახული პირობები შრომითი გაქანებისათვის. მოძველდა წინაპართა შეხედულება დროზე: კაცმა რაც უნდა მოინდომოს, დროს ვერ გაუსწრებსო. აბა ჰკითხეთ ქარხნის ცნობილ ხარატებს მ. აკოფოვს, ა. ბაღდასაროვს, მჭედელს ვ. კორძაძეს, ამწყობს ა. თინაშვილს, — გაუსწრეს თუ არა დროს. თავიანთი შრომითი მაჩვენებლებით მათ 1965 წელს გადააბიჯეს. ხალხი, რომელიც ასეთ შესანიშნავ ადამიანებს ზრდის, არ შეიძლება არ მისწვდეს დასახულ მიზანს. ასეთი გმირული შრომა ქმნის საფუძველს, რომ კომუნიზმი — კაცობრიობის დიდებული მომავალი ჩვენი ცხოვრების ხვალინდელი დღე იყოს.

ამ დღის გათენებისათვის სისხლს ღვრიდნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ყოფილი რკინიგზის სახელოსნოების მუშები — რევოლუციური საქართველოს მოწინავე რაზმი. აქ, რკინიგზის სახელოსნოებში მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა ი. ბ. სტალინმა. ქარხანაში დღესაც არის დაცული მ. ი. კალინინის სამუშაო ჩარხი. აქ მუშაობდა და ეცნობოდა მუშათა ჭირ-ვარამს სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი. ქარხნის კოლექტივი ერთგულია თავისი რევოლუციური ტრადიციების, დიდი ლენინის ანდერძისა. ქარხანა მტკიცედ დგას მოწინავე სამრეწველო საწარმოთა რიგებში. გაჩაღებულია საპირველმაისო შეჯიბრება —საამქროებში ყოველდღიურად ძლიერდება შრომის ტემპი ახალი სახახელო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. სისხლი არ დაიშურეს მუშებმა ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების გამარჯვებისათვის და შრომას როგორ დაიშურებენ ლენინურ გზაზე ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილი მსვლელობისათვის!..

ამ გრანდიოზული მსვლელობის ნაბიჯები ხელშესახებად არის აღბეჭდილი ლენინის სახელობის რაიონის ცხოვრებაში. გასული წლის ბოლოს გამოშვებულ იქნა პირველი ქართული რვაღერძიანი სამაგისტრალო ელექტრომავალი, რომლის შექმნაში ქართველ ელექტრომავალმშენებლებს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ნოვოჩერკასკელმა, ხარკოველმა, ვოროშილოვგრადელმა მეგობრებმა. მოწინავეთა შრომითი მიღწევებს ხშირად პროცენტებით ზომავენ ხოლმე, მაგრამ არსებობს უფრო მაღალი და უკეთესი საზომი — კაცური სიამაყისა და სიხარულის საზომი. ლენინის სახელობის რაიონის მშრომელებიც კანონიერი სიამაყის გრძნობით გეტყვიან, რომ პირველი ქართული ელექტრომავალი მათი რაიონის საწარმომ გამოუშვა. ელექტრომავალმშენებელი ქარხანა წელს მრავალ ასეთ გოლიათს ჩაუდგამს ხელს, რომ ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები ატარონ ფოლადის მაგისტრალებზე და მოტორების მძლავრი გუგუნით ინდუსტრიული საქართველოს სადიდებელი იმღერონ.

ყოფილი ნაძალადევი — ქოხმახებისა და კუსტარული სახელოსნოების უბანი საბჭოთა ხელისუფლების წლებში მძლავრად განვითარებული მრეწველობის რაიონად გადაიქცა. დღეს რაიონში წარმოდგენილია მრეწველობის თითქმის ყველა წამყვანი დარგი— მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ჩარხმშენებელი, ელექტროტექნიკური, საფეიქრო. რაიონის სამრეწველო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია — ელექტრომოწყობილობა, ჩარხები, მანქანები, პლასტმასის ნაწარმი, ქსოვილები, ქართული შამპანური, კონიაკი იგზავნება ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ჩინეთში, ინდოეთში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ამ განსაცვიფრებელ გარდაქმნებს რაიონის მშრომელები უმადლიან კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს ხალხი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ლენინის სახელობის რაიონი ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დაუცხრომელი ზრუნვის მკაფიო მაჩვენებელია. თვალს ახარებს, გულს ალაღებს განახლებული, აღორძინებული რაიონი. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რაიონის მშრომელებმა მიიღეს ორი პოლიკლინიკა, ორდარბაზიანი კინოთეატრი „საბჭოთა საქართველო", ორი საშუალო სკოლა, 12 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

შეძლებულად, ბედნიერად ცხოვრობენ ლენინის სახელობის რაიონის მშრომელები. ეს საამური ცხოვრება მათ დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით დაიმკვიდრეს. ხელიხელჩაკიდებულნი, მეგობრობის დუღაბით შეკავშირებულნი შრომობენ რაიონის სამრეწველო საწარმოებში ქართველი და რუსი, სომეხი და უკრაინელი, აზერბაიჯანელი და ბელორუსი — საბჭოთა ხალხების დიდი ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრები, შრომობენ, რომ უკეთესი მომავალი გამოჭედონ.

ლენინის საპატიო სახელს ატარებს რაიონი, და რაიონის ყველა მშრომელიც გულში ფაქიზად ატარებს დიდი ბელადის სიყვარულს. სხვანაირად არ შეიძლება იყოს, არ შეიძლება არ გიყვარდეს მზეკაცი — შენი ცხოვრების, კაცობრიობის ცხოვრების ბედნიერი დღის გამთენებელი.

**ა. ხუჩუა.**




სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობასთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ვ. ი. ლენინის ახალი ძეგლი თბილისში

22 აპრილს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობასთან მრავალმა ათასმა კაცმა მოიყარა თავი. აქ მოვიდნენ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ორჯონიკიძის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები. ისინი დაესწრნენ მიტინგს, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლის გახსნას.

დიდებულად ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები. მიტინგს შესავალი სიტყვით ხსნის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ტ. ჯვარშეიშვილი. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამავე ინსტიტუტის უფროსმა გ. ვარდოსანიძემ.

— მსოფლიოს ყველა ხალხი,— ამბობს იგი, — აღნიშნავს კაცობრიობის უდიდესი გენიის, კომუნისტური პარტიის შემქმნელის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 88-ე წლისთავს.

ვ. ი. ლენინის იდეებმა, რომლებიც საფუძვლად დაედო ოქტომბრის რევოლუციის განხორციელებას, გაკაფა გზა, რომლითაც მიდიან და ივლიან სოციალიზმისაკენ ყველა ქვეყნის პროლეტარები.

ვხსნით რა ვ. ი. ლენინის ძეგლს, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, სტუდენტები, მთელი კოლექტივი პირობას ვაძლევთ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კვლავაც განუხრელად ვიშრომებთ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მაღლა ვატარებთ ლენინიზმის უძლეველ დროშას.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პროფესორმა ი. ბაქრაძემ, დოცენტმა ნ. მატვეევმა, სამშენებლო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა გ. რაგოზინმა. რკინიგზის ექსპლოატაციის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა შ. კობერიძემ წაიკითხა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. ლექსი ლენინზე წაიკითხა ინსტიტუტის საშეფო 61-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ პიონერმა ხათუნა თხილავამ. არაერთგზის გაისმოდა მქუხარე ტაში.

ინსტიტუტის უფროსი გ. ვარდოსანიძე მიდის ძეგლთან და ჭრის ლენტს, ძეგლს ეხსნება საბურველი. დამსწრეთა წინაშე წარმოსდგა საყვარელი ვ. ი. ლენინის ფიგურა.

ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომლის სიმაღლე 4 მეტრი და 20 სანტიმეტრია, ბრინჯაოთი ჩამოსხმულია ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურაში" მოქანდაკე პ. იაკიმოვიჩის პროექტით. ძეგლის არქიტექტორია მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე დოცენტი მ. ნეპრინცევი. პოსტამენტი, რომლის სიმაღლე 5 მეტრამდეა, მოპირკეთებულია კურსების გრანიტით.

ძეგლი ყვავილების თაიგულებით შეამკეს პიონერებმა და მოსწავლეებმა.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის ამხ. გ. ქ. ცქიტიშვილის მოხსენება სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლების წინაშე ანგარიშგების მდგომარეობისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1957 წელს სახალხო მოსამართლეებმა წინა წელთან შედარებით გააუმჯობესეს ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე და სახალხო მსაჯულებთან მუშაობა. მათ განამტკიცეს კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, უფრო ღრმად აცნობენ ამომრჩევლებს საბჭოთა სასამართლოს დემოკრატიულ პრინციპებს, მეტ ყურადღებას აქცევენ სახალხო მსაჯულების იურიდიული ცოდნის ამაღლებას. 1957 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ყველა სახალხო მოსამართლემ ჩააბარა ანგარიში თავის ამომრჩევლებს. სახალხო მოსამართლეები ამომრჩეველთა წინაშე აკეთებენ მოხსენებებს საბჭოთა კანონმდებლობის, სასამართლო წყობილების, საბჭოთა სასამართლოს მუშაობის პრინციპებსა და სხვა საკითხებზე.

მიუხედავად ამისა, სახალხო მოსამართლეების ანგარიშგებისა და სახალხო მსაჯულებთან მათი მუშაობის საქმეში არის არსებითი ნაკლოვანებანი, სახალხო მოსამართლეების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე ქ. ფოთში, სიღნაღის, ყვარლის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის და ზოგიერთ სხვა რაიონებში დაბალ დონეზეა და ფორმალურ ხასიათს ატარებს. მოსამართლეები საკმაოდ არ ემზადებიან საანგარიშო მოხსენებებისათვის, ზერელედ ადგენენ მათ და არ უკავშირებენ რაიონისა თუ ქალაქის წინაშე მდგომ ამოცანებს. მოხსენებებში აღნიშნული არ არის სასამართლოების სერიოზული ნაკლოვანებანი, საქმეების განხილვის გაჭიანურება და მათი აღსრულებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულება, სასამართლოების სხდომების დაგვიანებით დაწყება, მსუბუქი სასჯელის დადგენისა და უსაფუძვლოდ დასჯის ფაქტები, როცა ასეთი რამ ხდება მათ მუშაობაში. ქ. ფოთში, ქუთაისის, დუშეთის, ზესტაფონის და ზოგიერთ სხვა რაიონებში სახალხო მოსამართლეებს თავიანთი საარჩევნო ოლქის მეტწილ საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში საანგარიშო მოხსენებები არ გაუკეთებიათ, ხოლო სადაც გააკეთეს, საანგარიშო კრებების მოუმზადებლობის გამო ამომრჩეველთა მცირე რიცხვი ესწრებოდა და აქტიურად არ მონაწილეობდა მოხსენებების განხილვაში.

ქ. ქუთაისის, დუშეთის, სიღნაღის, ლანჩხუთის და ზოგიერთი სხვა რაიონების სახალხო სასამართლოები საანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა მიერ შემოტანილ საქმიან წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს სათანადოდ არ აღრიცხავენ და არ განაზოგადებენ, არ განიხილავენ სასამართლოს მუშაკთა საწარმოო თათბირებზე და არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს ამ წინადადებათა შესრულებისათვის.

მთელ რიგ სახალხო სასამართლოებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სახალხო მსაჯულებთან მუშაობა მათი იურიდიული ცოდნის ამაღლებისათვის. მათთან ყველა მოსამართლე არ აწყობს სისტემატურ მეცადინეობას. მოსამართლეთა მეცადინეობას სახალხო მსაჯულთა უმცირესობა ესწრება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ საკმაო დახმარებას და ხელმძღვანელობას არ უწევს სახალხო სასამართლოებს ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგებისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი არ ამოწმებს ამომრჩეველთა წინაშე სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგების მიმდინარეობას და არ ისმენს მათს მოხსენებებს გაწეული მუშაობის შესახებ.

გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაევალოს სახალხო მოსამართლეებს დროულად გამოასწორონ მათს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, კიდევ უფრო განამტკიცონ კავშირი ამომრჩევლებთან, პერიოდულად მოაწყონ მათთან საანგარიშო მოხსენებები თავიანთი მუშაობისა და სასამართლოს საქმიანობის შესახებ. საბჭოთა სამართლის პროპაგანდის მიზნით მოხსენებები გააკეთონ მშრომელთა წინაშე საბჭოთა სასამართლოს მუშაობის პრინციპების, სასამართლო წყობილების, საბჭოთა კანონმდებლობის განმტკიცების შესახებ და სხვ. განახორციელონ ღონისძიებანი სასამართლოს პროცესების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, მიაღწიონ საქმეთა განხილვისა და მათი აღსრულების გაჭიანურების ლიკვიდაციას და აღმოფხვრან სასამართლოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სახალხო სასამართლოებისადმი მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმის გაუმჯობესებისათვის და მიიღოს ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. აღრიცხონ და გაითვალისწინონ მუშაობაში ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, განაზოგადონ სახალხო სასამართლოების მუშაობის დადებითი გამოცდილება და უზრუნველყონ სახალხო სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესება. სახალხო მსაჯულებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად სახალხო სასამართლოებში სამინისტროდან პერიოდულად მიავლინონ კვალიფიციური, გამოცდილი მუშაკები და გაუწიონ დახმარება სახალხო მოსამართლეებს ამ საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ პერიოდულად შეამოწმონ სახალხო სასამართლოებში ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობა, მოისმინონ მათი ანგარიში საბჭოსა და აღმასკომის სხდომებზე და გაუწიონ საჭირო დახმარება ამ საქმის გაუმჯობესებისათვის.

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს რჩევა მიეცათ შეამოწმონ სახალხო მოსამართლეების ამომრჩევლების წინაშე ანგარიშების ჩაბარებისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის მდგომარეობა და განიხილონ ეს საკითხი პრეზიდიუმის სხდომებზე ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებს დაევალათ პერიოდულად გააშუქონ გაზეთების ფურცლებზე სახალხო სასამართლოების საქმიანობა, ამომრჩეველთა წინაშე მოსამართლეების ანგარიშგებისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები. (საქინფორმი).

## კონვეიერიდან გამოვიდა „კაზ" მარკის მეოცდაათიათასე ავტომობილი

ქუთაისი, 23 აპრილი. (საქინფორმი). დღეს ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან გამოვიდა „კაზ" მარკის მეოცდაათიათასე ავტომობილი. ჩაებნენ რა საპირველმაისო შეჯიბრებაში ურალის საავტომობილო ქარხნის კოლექტივთან, ქუთაისის ავტომობილმშენებლები გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს, პირნათლად ახორციელებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს. ამას წინათ ქარხნის საამქროებში დაიწყო „კაზ-600-ბ" მარკის მოდერნიზებულ ავტოთვითმცლელთა სერიული გამოშვება. ამ მანქანას აქვს ორივე მხარეს გადასაყირავებელი ძარა.

ახლა ქუთაისის ქარხანა სახალხო მეურნეობისათვის ამზადებს ბამბის საზიდებს, ცემენტსაზიდებს და სხვა სპეციალურ მანქანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის

## მოწინავე მეაბრეშუმეთა თათბირებზე

ამ დღეებში გაიმართა მოწინავე მეაბრეშუმეთა თათბირები — აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისა — თელავში და დასავლეთ საქართველოს რაიონებისა — წულუკიძეში. თათბირებზე ჩამოვიდნენ კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

თათბირების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

თათბირები გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგემ ამხ. გ. ი. შარაშიძემ. მიმდინარე წელს მეაბრეშუმეობის დარგში მუშაობის შედეგებისა და 1958 წლის ამოცანების შესახებ მოხსენებები გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ა. ალავიძემ.

— მეაბრეშუმეობა, — თქვა მომხსენებელმა, — საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. ჩვენს რესპუბლიკას მეორე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში აბრეშუმის პარკის დამზადების მოცულობის მხრივ და პირველი ადგილი — აბრეშუმის ნედლეულის ხარისხის მხრივ. ჩვენში ცოტა როდია მოწინავე კოლმეურნეობა და მეაბრეშუმე, რომლებიც უხვ მოსავალს იღებენ. მაგრამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკა ვერ ასრულებს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმებს. 1957 წელს დამზადების გეგმა შესრულდა 97,1 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა 33.015 ცენტნერი პარკი. ერთ გრამ აბრეშუმის თესლზე საშუალოდ მიღებულია 1,6 კილოგრამი პარკი დავალებით გათვალისწინებული 2 კილოგრამის ნაცვლად.

დამზადების გეგმის შეუსრულებლობა იმის შედეგია, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, მეაბრეშუმეობის სისტემის მუშაკები, ზოგიერთი რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ აბრეშუმის ჭიის გამოკვების აგროტექნიკას, არ უზრუნველყოფენ მეაბრეშუმეობას მტკიცე საკვები ბაზით. მიუხედავად იმისა, რომ თუთის ნარგავთა ფართობები გადიდდა, ნარგავთა მოვლა და მათი ექსპლოატაცია დამაკმაყოფილებელი არ არის.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებში უკანასკნელ 9 წელიწადში გაშენდა 3.300 ჰექტარი თუთის ხე; ამავე დროს გასული წლის შემოდგომაზე, როგორც ინვენტარიზაციამ ცხადყო, აღმოჩნდა სულ 1.900 ჰექტარი. მილიონზე მეტი ხე მოუვლელობის გამო დაიღუპა. საკვები ბაზის მდგომარეობა განსაკუთრებით ცუდია კასპის, ქარელის, ხაშურის, გორისა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში. საკვები ფონდის შენარჩუნებასა და მისი პროდუქტიულობის გადიდებას საკმაო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე საგარეჯოს, კასპისა და ახმეტის რაიონების კოლმეურნეობებში.

ხოლო იმ რაიონებში, სადაც მეაბრეშუმეობას საქმიანად ეკიდებიან, აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა წარმატებით სრულდება. ასეთებია, მაგალითად, სიღნაღის, გარდაბნის, თელავის, ლაგოდეხის, გურჯაანისა და გარეჯუბნის რაიონების კოლმეურნეობები. სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან გამოკვებეს 2.095 გრამი აბრეშუმის თესლისაგან მიღებული აბრეშუმის ჭია და სახელმწიფოს ჩააბარეს 5.173 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი გეგმით გათვალისწინებული 3.650 კილოგრამის ნაცვლად. თელავის რაიონის სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ პარკის დამზადების წლიური გეგმა 126,5 პროცენტით შეასრულა. დავალებანი გადამეტებით შეასრულეს აგრეთვე მარნეულის რაიონის ჟდანოვის სახელობის, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

დასავლეთ საქართველოს რაიონები აბრეშუმის მრეწველობისათვის ნედლეულის ძირითადი მიმწოდებლები არიან. ამ რაიონების მეაბრეშუმეთა მუშაობის ხარისხზე ბევრად დამოკიდებულია რესპუბლიკაში აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმების წარმატებით შესრულება. ამავე დროს შარშან მათ სახელმწიფოს დააკლეს დიდძალი პარკი.

ამხ. ალავიძემ მოხსენებაში დაწვრილებით განიხილა იმის მიზეზები, რომ ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და რაიონებმა ვერ შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები.

— გასული წლის მეტეოროლოგიური პირობები, — თქვა მან, — არ უწყობდნენ ხელს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველოს რაიონების ბევრმა კოლმეურნეობამ წარმატებით გაართვა თავი დავალებებს და აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი მიიღო. მათ რიცხვს ეკუთვნიან მახარაძის, წყალტუბოს, ზესტაფონის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ტყიბულის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, ცაგერის რაიონები, აფხაზეთი, აჭარა და ქალაქი ქუთაისი. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ერთნახევარჯერ-ორჯერ გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პარკის ჩაბარების გეგმები. მათ შორის არიან გეგეჭკორის რაიონის კალინინის სახელობის, ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის, ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის, წყალტუბოს რაიონის სტალინის სახელობის, გალის რაიონის ჯგუბურიას სახელობის, სამტრედიის რაიონის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობანი, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობა და სხვ.

მაგრამ, იმის შედეგად, რომ რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობდნენ და საკმაო დახმარებას არ უწევდნენ მეაბრეშუმეებს, ისეთმა რაიონებმა, როგორიც არიან ქუთაისის, ვანის, ამბროლაურის, საჩხერის, ჭიათურის, წულუკიძის, ჩოხატაურის, ხობის, მაიაკოვსკის, აბაშის, გუდაუთის რაიონები, ვერ გაანაღდეს აბრეშუმის პარკის ჩაბარების შესახებ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი.

მეაბრეშუმეობის განვითარება შეუძლებელია, თუ არ არის მტკიცე საკვები ბაზა. ამავე დროს, მას ნაკლები ყურადღება ექცევა. 4.200 ჰექტარი თუთის ხის პლანტაციებიდან, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში გაშენდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში, შენარჩუნებულია მხოლოდ 3.100 ჰექტარი. მეაბრეშუმეობის საკვები ფონდის შექმნის საქმე განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ვანის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, აბაშისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ჩოხატაურის რაიონში გაშენებული 110 ჰექტარი თუთის ხის პლანტაციებიდან ნარგავები დაიღუპა 61 ჰექტარ ფართობზე.

მეაბრეშუმეობის აღმავლობისათვის საჭიროა უმოკლეს ვადაში შესაფერის მდგომარეობაში მოვიყვანოთ თუთის ყველა ნარგავი, აღვადგინოთ დაღუპული პლანტაციები. საჭიროა ფართოდ დავნერგოთ თუთის უხვმოსავლიანი ჯიშები „საქართველო", „თბილისური", „ქუთათური", გამოყვანილი საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ, მცირემოსავლიანი ხეები უხვმოსავლიანი გავხადოთ ჯიშიანი თუთის კვირტით მყნობის გზით.

— საჭიროა, — ამბობს შემდეგ მომხსენებელი, — ახლავე ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ წელს პარკის დამზადების გეგმა. ამისათვის საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა კონტრაქტაციისათვის ისეთი ვარაუდით, რომ იგი უახლოეს დღეებში დამთავრდეს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს რაიონული კანტორები მოვალენი არიან უზრუნველყონ მეაბრეშუმეების მიერ საინკუბაციო კამერებიდან ჭიის დროზე წაყვანა, სერიოზული ყურადღება მიაქციონ გამოკვების პროცესისათვის სანიმუშოდ მზადებას. ყველა სადგომი, რომლებიც გამოყოფილია ამ მიზნისათვის, და მათი ინვენტარი დეზინფიცირებულ უნდა იქნას, შეიქმნას ყველა პირობა, რათა სადგომებში დაცულ იქნას საჭირო ტემპერატურა და ჰაერის ტენიანობა, არ დაირღვეს ჭიის კვების რეჟიმი.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან მიაღწიონ იმას, რომ ყველა მეაბრეშუმემ უთუოდ შეასრულოს საგაზაფხულო გამოკვების გეგმა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად გეგმის შესრულებისათვის. საგაზაფხულო გამოკვების ჩამორჩენა იწვევს დაძაბულ მდგომარეობას შემდეგში და უხეშ დარღვევებს თუთის ნარგავების ექსპლოატაციაში.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების მეაბრეშუმეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში გამოვლინებულ იქნა პარკის წარმოების ზრდის დიდი რეზერვები და შესაძლებლობანი.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის არტელის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ვ. ოსოშვილმა, — წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოსათვის პარკის ჩაბარების დავალებას. შარშან ჩვენ ჩავაბარეთ 5.546 კილოგრამი პარკი, რაც გეგმის 138 პროცენტს შეადგენდა. ამას ჩვენ მივაღწიეთ აბრეშუმის ჭიის მოვლის გაუმჯობესებით და მყარი საკვები ბაზის შექმნით. კოლმეურნეობას აქვს 20 ჰექტარი თუთის პლანტაციები, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფენ მოთხოვნილებას საკვებზე. ყოველ წელიწადს სხვა კოლმეურნეობებს ვაძლევთ თუთის დიდძალ ნერგს. მათი რეალიზაციით 4 წელიწადში საზოგადოებრივმა მეურნეობამ 1.200 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი მოწმობს, რომ მეურნეობაში ამოწურულია აბრეშუმის პარკის წარმოების ზრდის რეზერვები. პირიქით, ჩვენი მეაბრეშუმეები განუწყვეტლივ ზრდიან ჭიის გამოკვებას.

ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ჩიკვაიძემ განაცხადა, რომ შარშან, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, რაიონმა წარმატებით შეასრულა პარკის დამზადების წლიური გეგმა. გეგმის გადაჭარბებით ჩავაბარეთ დიდძალი პარკი.

ცოტა წარმატება როდია მიღწეული, მაგრამ მეაბრეშუმეთა მუშაობის პრაქტიკაში არის მთელი რიგი დაბრკოლებანი. მიმღები პუნქტები ხშირად ორ-სამ დღეს აჭიანურებენ კოლმეურნეთა მიერ ჩაბარებული პარკის დახარისხებას. დახარისხება პრიმიტიული წესით სრულდება. სავსებით სამართლიანია მეაბრეშუმეთა მოთხოვნა მიმღები პუნქტების საქმიანობის გაუმჯობესების, კერძოდ, პარკის დასახარისხებელი მანქანების შექმნის შესახებ.

— ჩემი ბრიგადა, — თქვა საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის პარტიის XIX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ ამხ. ს. სებისკვერაძემ, — შეჯიბრებაში ჩაება 2.000 კილოგრამი პარკის მიღებისათვის. ვალდებულება შესრულებულია ღირსეულად, ბრიგადამ სახელმწიფოს ჩააბარა 2.247 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი. ბევრმა კოლმეურნემ დიდი გადაჭარბებით შეასრულა თავისი სოციალისტური ვალდებულებანი. მეაბრეშუმემ მ. პაქსაშვილმა 6 გრამი თესლიდან მიიღო 33 კილოგრამი პარკი, რაც თითქმის 20 კილოგრამით სჭარბობს ნორმას.

ეს წარმატებანი მოვიპოვეთ აბრეშუმის ჭიის სანიმუშო მოვლით, მისი დროზე კვებით.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს აბრეშუმის ჭიის გამოკვების დაჩქარებული მეთოდის ინიციატორის, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურის, სტალინური პრემიის ლაურეატის ოსანა აივაზაშვილის სიტყვა. წარჩინებულმა მეაბრეშუმემ თქვა, რომ რგოლმა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, შარშან 8,4 კოლოფი თესლიდან მიიღო 1.115 კილოგრამი პარკი, ხოლო პირადად მან 1 კოლოფი თესლიდან მიიღო 167 კილოგრამი პარკი, გეგმით გათვალისწინებულზე 103 კილოგრამით მეტი.

მხოლოდ როგორც მეაბრეშუმემ ო. აივაზაშვილმა შარშან გამოიმუშავა 550 შრომადღე და, ამ დღეებზე შემოსავლის გარდა, პრემიის სახით მიიღო 3.000 მანეთი. წელს იგი მეხუთედ გახდება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

— მე არ ვჯერდები,— ამბობს ამხ. აივაზაშვილი, — პირად წარმატებას და ხალისით ვუზიარებ გამოცდილებასა და ცოდნას სხვებს. მე მგონია, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უფრო ფართო პროპაგანდა უნდა გაუწიოს მეაბრეშუმეობის ნოვატორთა გამოცდილებას. უნდა გამოუშვან პოპულარული ბროშურები, ფერადი პლაკატები, ყველა კოლმეურნეობაში უნდა მოეწყოს მოკლევადიანი კურსები ჭიის გამოკვებისა და თუთის ხის პლანტაციების მოვლის პროგრესული მეთოდების შესასწავლად. ეს დაგვეხმარება იმაში, რომ ახალი წარმატებები მოვიპოვოთ მეაბრეშუმეობაში და სამშობლოს მივცეთ მეტი პარკი.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. კ. თვალაშვილმა აღნიშნა, თუ როგორ მიაღწია შესანიშნავ წარმატებებს მეაბრეშუმეობამ, რომელიც ოლქის კოლმეურნეობებისათვის სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა დარგია.

ამასთან ერთად მეაბრეშუმეობაში არის დიდი ნაკლოვანებანი. ოლქის 188 კოლმეურნეობიდან სოფლის მეურნეობის ამ ხელსაყრელ დარგს მისდევს მხოლოდ 44 კოლმეურნეობა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ ჯეროვნად არა გვაქვს საკმაო საკვები ბაზა.

— შარშანდელი მეტეოროლოგიური პირობები, — თქვა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ასათაშვილმა, — არ უწყობდა ხელს მეაბრეშუმეობას. საკმარისია ითქვას, რომ რაიონის თუთის ნარგავთა 20 პროცენტს ფოთლის მოსავალი არ მოუცია. მიუხედავად ამისა, რაიონმა, ისევე როგორც წინა წლებში, გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის პარკის ჩაბარების გეგმა. დიდი წარმატება მოიპოვეს კონდოლის, კურდღელაურის, იყალთოს, სანიორის, აკურის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ახლა რაიონის მეაბრეშუმეები ენერგიულად ემზადებიან ახალი სეზონისათვის. წესრიგზე მოჰყავთ საჭეები, დამთავრდა კონტრაქტაცია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა რაიონის კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წელს ჩააბარონ 600 ცენტნერი პარკი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს გორის რაიონის მეაბრეშუმეები.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — ამბობს მარნეულის რაიონის არტელ „კომუნიზმის" თავმჯდომარე ა. ისმაილოვი, — ყოველ წელიწადს 400-500 ათას მანეთ შემოსავალს იღებს მეაბრეშუმეობიდან. მეაბრეშუმეობას მისდევს ბევრი ჩვენი კოლმეურნე. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა პარკის გამოსავლიანობის წლიური გეგმა გაზაფხულის კვებების პერიოდში შესრულონ. ამ დროს ბევრი მათგანი 50-60 კილოგრამ პარკს იღებს თითო კოლოფ თესლზე. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს, რათა კიდევ უფრო გავადიდოთ პარკის მოსავლიანობა და პირნათლად შევასრულოთ 1958 წლისათვის ნაკისრი გადიდებული ვალდებულებანი.

კამათში აგრეთვე გამოვიდნენ გორის რაიონის სოფელ ნიქოზის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. დ. კოლოტაშვილი, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს აბრეშუმის მრეწველობის განყოფილების უფროსი ამხ. ა. ბაქრაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს სიღნაღის რაიონული კანტორის გამგე ამხ. ი. პავლიაშვილი.

* * *

გაცხოველებული კამათი გაჩაღდა აგრეთვე მოხსენების გამო, რომელიც გაკეთდა დასავლეთ საქართველოს რაიონების მოწინავე მეაბრეშუმეთა თათბირზე.

— ჩვენს რაიონს, — თქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს წულუკიძის კანტორის გამგემ ამხ. კ. ჭავჭანიძემ,—შარშან არ შეუსრულებია აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. ეს იმან გამოიწვია, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სუსტ დახმარებას უწევენ მეაბრეშუმეებს. მეაბრეშუმეობას რაიონში 7 ათასზე მეტი კაცი მისდევს. მაგრამ ბევრი მათგანი არ იცნობს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორი მეაბრეშუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნინო ბარაბაძის მუშაობის მეთოდებს. რაიონში გამოყენებული არ არის ყველა შესაძლებლობა მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის შესაქმნელად. არიან კოლმეურნეობები, რომლებსაც აბრეშუმის ჭიის საკვები აკლიათ.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის კანონის პასუხად კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წელს მიიღონ 220 ათასი კილოგრამი პარკი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სამტრედიის რაიონის მეაბრეშუმეები.

თავის გამოცდილებაზე ილაპარაკა გალის რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობის" ბრიგადირმა ამხ. ო. ყოლბაიამ. აბრეშუმის ჭიის გამოკვება, — თქვა მან, — რთულ და დაკვირვებულ მუშაობას მოითხოვს. შარშან ბრიგადამ 167 პროცენტით შეასრულა დავალება, ახლა კი ჩაბმულია შეჯიბრებაში კიდევ უფრო დიდი მოსავლისათვის.

— ჩვენი კოლექტივი, — თქვა საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ს. ნიკოლაიშვილმა, — მუშაობს რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. ინსტიტუტმა გამოიყვანა თეთრი პარკის ჯიშის ჭია „კახური", „იმერული", „კოლხეთი" და სხვ. აქედან „კახური", „იმერული" და მათი ჰიბრიდები ფართოდ არის გამოყენებული საკოლმეურნეო წარმოებაში. 1957 წელს საქართველოში თეთრი პარკის ჯიშის ჭიის გამოკვებამ მთელი გამოკვების 31,7 პროცენტი შეადგინა. ამ ჯიშების ჭია ყვითელი ჯიშის ჭიასთან შედარებით 10-15 პროცენტით მეტ აბრეშუმის ნედლეულს იძლევა, ამასთან ეს ნედლეული ბევრად უკეთესია ხარისხით. ინსტიტუტის კოლექტივი მუშაობს თუთის ახალი ჯიშების ხარისხობრივ მაჩვენებელთა შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

თეთრი პარკის ჯიშის ჭიის გამოკვებაში მიღწეულ წარმატებებზე ილაპარაკა საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ხუბულავამ. რაიონის ბევრი კოლმეურნეობა იღებს პარკის მოსავალს, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება დავალებებს. შარშან რაიონმა სახელმწიფოს მისცა 1.735 ცენტნერი პირველი ხარისხის პარკი, რაც შეადგენს გეგმის 100,8 პროცენტს. მეაბრეშუმეობაში მოპოვებული წარმატებისათვის ლენინის სახელობის, კალინინის სახელობის, დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობები წარდგენილი არიან 1958 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. მეაბრეშუმეებმა მარტო პრემია-წანამატის სახით 530 ათასი მანეთი მიიღეს.

რაიონში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა საკუთარი საკვები ფონდის შესაქმნელად. ფართოდ გავრცელდა თუთის ხის უხვმოსავლიანი ჯიში „საქართველო". პარკის წარმოების უფრო მეტი ზრდისათვის საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა უნდა გამოიყვანოს გეგეჭკორის რაიონის ჰავის პირობებისათვის გამოსადეგი მაღალპროდუქტიული ჰიბრიდული აბრეშუმის ჭია.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მეაბრეშუმეობის ოსტატების — ლანჩხუთის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სოციალისტური შრომის გმირის ლოლა კომახიძის, ჩოხატაურის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრის თამარ ჯიბუტისა და წყალტუბოს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურის მარგალიტა კიკვაძის სიტყვები.

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღებაში თავის წარმატებაზე ილაპარაკეს აგრეთვე ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელის კოლმეურნეობის მერგოლურმა ცისანა ჩარკვიანმა და ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ ლუიზა კვიკვინიამ.

თათბირზე წულუკიძეში გამოვიდნენ აგრეთვე აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ი. ცივაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს სამტრედიის რაიონული კანტორის უფროსი აგრონომი ამხ. გ. ნაცვლიშვილი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" მერგოლური ამხ. ლ. მგალობლიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს აფხაზეთის კანტორის მმართველი ამხ. შ. ბალათელია, ქუთაისის რაიონის სოფელ ოფშკვითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. სიმსივე.

* * *

თათბირებზე გამოვიდა ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

— უკანასკნელ წლებში, — თქვა ამხ. მჟავანაძემ, — საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოპოვებულია გარკვეული წარმატებანი, მაგალითისათვის ავიღოთ მეცხოველეობა. იგი ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგი იყო. ამ ხნის განმავლობაში თვითეული ძროხის წველადობა მნიშვნელოვნად გადიდდა და 1957 წელს აყვანილია 1.000 და მეტ კილოგრამამდე, ხოლო წელს რესპუბლიკის მეცხოველეები იბრძვიან, რათა თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.500 კილოგრამი რძე. წარმატებით დაიწყო ახალი სასოფლო-სამეურნეო წელი. საქართველომ პირველად შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს იმ უდიდეს მნიშვნელობაზე, რაც აქვს სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებულ კანონს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ, ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა ეკონომიკის უფრო განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას.

შემდეგ ამხ. მჟავანაძემ დაწვრილებით ილაპარაკა მეაბრეშუმეობის საკითხებზე.

ჩვენ, — თქვა მან, — სრულად ვერ ვიყენებთ აბრეშუმის პარკის წარმოების გადიდების არსებულ შესაძლებლობებს. კიდევ არიან ისეთი რაიონები, სადაც მეაბრეშუმეობას ჯეროვნად არ აფასებენ. მეაბრეშუმეობა ხომ ქართველი გლეხების ერთ-ერთი უძველესი და საყვარელი სამუშაოა. ჩვენს რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში მეორე ადგილი უჭირავს პარკის წარმოების რაოდენობით, რომელიც საუკეთესოა თავისი ხარისხით.

იმისათვის, რომ წარმატებით განვავითაროთ მეაბრეშუმეობა, საჭიროა შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა. ჩვენ გატაცებული ვართ თუთის ხის დიდი პლანტაციების გაშენებით. თუთის ხეების დარგვა კი სოფლის ქუჩებში, სარწყავი არხების გაყოლებით, ვენახების, ხეხილის ბაღების გარშემო დიდძალ ფოთოლს მოგვცემს აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად.

უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ აბრეშუმის ჭიისა და თუთის ნარგავების მოვლის აგროტექნიკის წესებს იცავდეს ყველა კოლმეურნეობა. ყოველივე ეს დაგვეხმარება მკვეთრად წავწიოთ წინ მეაბრეშუმეობა და ჩვენს ქვეყანას სულ უფრო მზარდი რაოდენობით მივცეთ აბრეშუმის პარკი.

საერთო საქმეს ბევრ ძვირფას რამეს შემატებენ მეაბრეშუმეობის ნოვატორთა გამოსვლები თათბირებზე. მოწინავე მეაბრეშუმეებმა ცხადყვეს, თუ რა უდიდესი რეზერვებია კოლმეურნეობებში, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა ლიკვიდირებულ იქნას არსებული ნაკლოვანებანი და ყველგან მიღებულ იქნას პარკის უხვი მოსავალი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერების მოვალეობაა განაზოგადონ უმდიდრესი გამოცდილება, რაც მეაბრეშუმეობის ჩვენმა შესანიშნავმა ოსტატებმა შეიძინეს, ფართოდ დანერგონ იგი საკოლმეურნეო წარმოებაში.

ამხ. მჟავანაძემ რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს მეაბრეშუმეები ყოველივეს გააკეთებენ, რათა შეასრულონ სოციალისტური ვალდებულება, რომელიც სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე იკისრეს, და წელს მოგვცემენ 4.000 ტონა აბრეშუმის პარკს. (საქდესი).



აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების მოწინავე მეაბრეშუმეთა თათბირი. ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო ი. დავითაშვილისა და გ. გოგოხიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).



სურათზე: დასავლეთ საქართველოს რაიონების მოწინავე მეაბრეშუმეთა თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ნ. ბარაბაძე, მ. კიკვაძე, ლ. კომახიძე, ო. ყოლბაია.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა და ვ. დვალისა. (საქდესის ფოტოქრონიკა.)

...ნული ბიბლიოთეკა

ლენინური პრემიის ლაურეატები

# შთამაგონებელი ხელოვნება

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ბალეტ „ოტელოს“ დადგმისა და ოტელოს როლის შესრულებისათვის ვახტანგ მიხეილის-ძე ჭაბუკიანს მიენიჭა ლენინური პრემია.**

**ქვემოთ ვბეჭდავთ რსფსრ სახალხო არტისტის მ. პლისეცკაიას წერილს ბალეტ „ოტელოს“ დამდგმელისა და მთავარი როლის შემსრულებლის ვ. ჭაბუკიანის შესახებ, რომელიც ავტორმა გაზეთ „კომუნისტისათვის“ დაწერა.**

★

ბალეტი „ოტელო“ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დიდი გამარჯვებაა. ამ სპექტაკლში შექსპირის ტრაგედია ისე საინტერესოდ არის გადმოცემული, ისე ძლიერად ჟღერს ქორეოგრაფიული ხელოვნების ენით, რომ მან ყველა მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა. ეს იმიტომ, რომ ამ სპექტაკლში შექსპირის ტრაგედიის სიდიადე, მის გმირთა მრავალფეროვანი და რთული სახეები უდიდესი დამაჯერებლობით არის გადმოცემული. სპექტაკლში ერთნაირი სიძლიერით ჟღერს მუსიკა, ქორეოგრაფია და ფერწერა.

ღრმა იდეა, ბალეტის ავტორთა მდიდარი ფანტაზია შერწყმულია ნათელ სცენიურობასთან. სპექტაკლი ემოციური და მხატვრულად სრულყოფილია. დამდგმელმა, კომპოზიტორმა და მხატვარმა არა მარტო წარმატებით გადაწყვიტეს შექსპირის თემა, არამედ მათ ბალეტი შექსპირის ტრაგედიის სიმაღლემდე აიყვანეს.

ბალეტმა „ოტელომ“ ასეთ დიდ წარმატებას რომ მიაღწია, ეს პირველ რიგში არის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის, როგორც დამდგმელის, ლიბრეტოს ავტორისა და მთავარი როლის შემსრულებლის დამსახურება.

ჩვენი ეპოქის ამ ერთ-ერთმა საუკეთესო მოცეკვავემ შექმნა სრულყოფილი სახე ოტელოსი, მან პირველმა ასე სწორად გახსნა ქორეოგრაფიულად ესოდენ ურთულესი როლი და მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა.

ვ. ჭაბუკიანის ოტელო ძლიერი, ემოციური და მრავალფეროვანია. გავიხსენოთ პირველი სცენა — შეხვედრა დეზდემონასთან. რამდენი სითბო და სიყვარული, თავისი არჩე-



ვ. ჭაბუკიანი.

ულისადმი როგორი რაინდული თაყვანისცემა იგრძნობა ამ სცენაში. განა ოტელოს მიერ თავისი თავგადასავლის თხრობა და ბევრი სხვა სურათი ვ. ჭაბუკიანის დიდ შემოქმედებით ტალანტზე არ მეტყველებენ?

იცვლება სურათები და ჩვენ კვლავ ვხედავთ ოტელოს ძლიერს, სრულყოფილს, ისე როგორც ეს შექსპირმა დახატა. შესრულების ოსტატობა, რომელსაც ჭაბუკიანმა მიაღწია ოტელოს სახის გადმოსაცემად, საუცხოოდ არის გააზრებული, მასში ყველაფერი ორგანული და დამაჯერებელია.

ბალეტმეისტერის ყველაზე შესანიშნავი გამარჯვებაა ოტელოს სოლო-ცეკვა მეორე აქტში. ამ სცენაში ჭაბუკიანმა ოტელოს სახე სწორად გახსნა. რა ტემპერამენტი, სიყვარული, მაღალი სული, უშუალობა იგრძნობა ამ ცეკვაში. ჭაბუკიანის ოტელოში ვერსად ვერ იპოვნით ცეკვას განყენებულად. ცეკვა ყოველთვის გამოხატავს ნათელ აზრს, გმირის სულიერ მდგომარეობას, მის მისწრაფებებს. აქ ვ. ჭაბუკიანი საბჭოთა ქორეოგრაფიის ნამდვილ ვირტუოზად გვევლინება.

ბალეტ „ოტელოს“ წარმატების ერთ-ერთი საფუძველია ოსტატურად დაწერილი ლიბრეტო. ლიბრეტოს ავტორს ვ. ჭაბუკიანს სათუთად შეუნახავს მოქმედების დრამატული ქარგა, შექსპირის გენიალურ ნაწარმოებში შეუტანია მთელი რიგი ახალი სცენები, რაც აძლიერებს ბალეტს და არსად არ სცოდავს შექსპირის წინაშე.

თუ სპექტაკლში გვხიბლავენ შესანიშნავი პლასტიკური მოცეკვავე ზ. კიკალეიშვილი (იაგო), მომხიბვლელი ვ. წიგნაძე (დეზდემონა), მ. გრიშკევიჩი (ემილია), თუ სავსებით გვაკმაყოფილებენ სოლისტები, კორდებალეტი, მსახიობები სპექტაკლს ახმარენ თავიანთ ტემპერამენტს, თავიანთ აქტიორულ შესაძლებლობებს — აქაც ნათლად ჩანს დამდგმელის ვ. ჭაბუკიანის დიდი შემოქმედებითი გაქანება, მისი ტალანტი.

ბალეტი „ოტელო“ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დიდი წვლილია საბჭოთა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში.

**მაია პლისეცკაია,**
რსფსრ სახალხო არტისტი.

# მშრომელთა კეთილდღეობისათვის

## ნაღდი ფული — საგზურების მაგიერ

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა დასვენების ორგანიზაციას და მათს სანატორიულ-საკურორტო მკურნალობას, რისთვისაც წელს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2 მილიარდ მანეთზე მეტი. ასიგნებული თანხა საშუალებას აძლევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაგზავნონ 3,8 მილიონი მუშა და მოსამსახურე, მაგრამ ბევრ მშრომელს, რომელსაც არ ესაჭიროება მკურნალობა, სურვილი აქვს თავისი მორიგი შვებულება გაატაროს ქალაქგარეთ ან სოფელში სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის გარეთ. ამიტომ მუშამოსამსახურეებმა თხოვნით მიმართეს პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომ საგზურის მაგიერ მიიღონ ამ საგზურის სრული ან ნაწილობრივი ღირებულება ნაღდ ფულად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში მშრომელთა ეს სურვილი, ნება დართო პროფკავშირულ ორგანიზაციებს საგზურის მაგიერ მუშამოსამსახურეებს მისცენ ნაღდი ფული. ამ მიზნით 1958 წლისათვის გამოყოფილია 300 მილიონამდე მანეთი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ასიგნობათა ფარგლებში.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 31 მარტის დადგენილებით პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება მიეცათ ცალკეულ შემთხვევებში, მუშა-მოსამსახურეთა სურვილის მიხედვით, სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლების საგზურების მაგიერ გასცენ ნაღდი ფული საგზურის ღირებულების 70-დან 100 პროცენტამდე, მაგრამ არაუმეტეს 1.000 მანეთისა სანატორიუმის საგზურის ნაცვლად და 300 მანეთისა — დასასვენებელი სახლის საგზურის ნაცვლად.

ფულის გაცემა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიზნით სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობას.

საგზურის ნაცვლად ფული გაიცემა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ან საქალაქო, რაიონული, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური კომიტეტებისა და პროფკავშირთა საბჭოების გადაწყვეტილებით.

# მშრომელთა წერილები რედაქციას

★

## რატომ გვიშლით ხელს ამხ. რეხვიაშვილო?

ოცდახუთი წელიწადია თბილისის სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში გახსნილია ქალაქის სამგზავრო სადგურის ფილიალი, რომელიც ბილეთებს ყიდის და ბარგს გზავნის ყველა მიმართულებით. ფილიალი პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მომსახურებას უწევს საკოლმეურნეო სოფლიდან ჩამოსულ მშრომელებს. შარშან ფილიალმა საკომისიო შემოსავლის დავალება საგრძნობი გადაჭარბებით გაანაღდა და სახელმწიფოს 60 ათასი მანეთი მოგება მისცა.

ამ ფილიალის არსებობა კოლმეურნეთა მომსახურების თვალსაზრისით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელ წლებში განზრახული იყო მისი კიდევ უფრო გაფართოება და კეთილმოწყობა. მაგრამ აი შარშან — 1957 წელს ბაზარს მოევლინა ახალი დირექტორი ი. რეხვიაშვილი, და მდგომარეობა შეიცვალა. მან გაფართოებისა და კეთილმოწყობის ნაცვლად ფილიალის დახურვა მოითხოვა, თანაც ამის მოტივად უსუსური „საბუთი“ დაასახელა, თითქოს ბაზრის მუშაობას აფერხებდეს ფილიალში ბილეთების გაყიდვა და ბარგის მიღება.

დირექტორმა ი. რეხვიაშვილმა აკრძალა ბაზრის ტერიტორიაზე სამგზავრო სადგურის ფილიალის საბარგო მანქანების შესვლა. ამით ბრკოლდება მიღებული ბარგის დანიშნულებისამებრ გაგზავნა და მგზავრთა მომსახურება.

მდგომარეობის გამოსასწორებლად მივმართეთ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსს ამხ. ი. გეტაშვილს, საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს უფროსს ამხ. აკოფოვს, მაგრამ უშედეგოდ: ბაზრის დირექტორი ი. რეხვიაშვილი თვითნებობს და ამ ხელმძღვანელი ამხანაგების მითითებას არ ასრულებს.

კოლმეურნე მგზავრთა მომსახურების ინტერესები მოითხოვს, რომ სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში არსებობდეს სამგზავრო სადგურის ფილიალი. ამხ. რეხვიაშვილი მოვალეა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ფილიალს, შეუქმნას მას ნორმალური მუშაობის პირობები.

**ნ. ჯღამაძე,**
ქალაქის ცენტრალური სამგზავრო სადგურის უფროსი.

## მოვითხოვთ წყაროს აღდგენას

შარშან ზაფხულში დაბა სურამში სპარტაკის ქუჩაზე მოქ. ვ. რუსიას სახლში გახსნილი იყო საბავშვო ბაგა. ბაგის გამგის მ. ონაშვილის უყურადღებობით ამ ქუჩაზე გაბინძურებულ იქნა ერთადერთი წყარო და ახლა მოსახლეობა სასმელ წყალს შორი მანძილიდან ეზიდება.

სურამის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს კ. ლომიძეს ბევრჯერ მივმართეთ თხოვნით — გაეწმინდათ წყაროს სათავე. ისიც გვპირდება, წყაროს აღვადგენთო, მაგრამ დაპირებას არ ასრულებს. დღემდე დაუსჯელია აგრეთვე ის პირი, რომელმაც დაარღვია სანიტარული წესი და წყარო გააბინძურა.

სპარტაკის ქუჩის მცხოვრებლები მოითხოვენ, რომ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომმა.

**კ. პარუმბეგოვი.**
დაბა სურამი.

★

## ჩამოვაყალიბოთ პენსიონერთა საზოგადოებრივი მუშაობის ჯგუფები

კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1956 წლის 1 ოქტომბრიდან, მშრომელთა კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური და თანმიმდევრული ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა. ამ კანონის საფუძველზე საგრძნობლად ამაღლდა მოხუცებულობის პერიოდში მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური უზრუნველყოფის დონე. ბევრი მოხუცებული, რომლებიც წლების განმავლობაში უმწიკვლოდ და თავდადებით მუშაობდნენ თავიანთ პოსტებზე საწარმოებსა და დაწესებულებებში, პენსიაზე გავიდა და უზრუნველყოფილად ცხოვრობს.

პენსიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს კარგად გრძნობს. ცხადია, ისინი უქმად ვერ ჩერდებიან, და სახლში რომ არაფერი აქვთ გასაკეთებელი, გასართობ ადგილებში იკრიბებიან. პენსიონერთა ასეთი გართობის ადგილებია კულტურისა და დასვენების პარკები, სკვერები, სადაც ისინი ჭადრაკს, შაშს, დომინოს თამაშობენ და ბაასით იქცევენ თავს.

ამ წერილის მიზანი ის კი არ არის, რომ ვილაპარაკოთ, თუ როგორ მოეწყოს მომავალში პენსიონერების კულტურული დასვენებისა და გართობის ადგილი.

ახლა ჩვენ გვაინტერესებს ერთი საკითხი.

პენსიონერებს, ყოველ შემთხვევაში მათს დიდ ნაწილს, შეუძლია, და კარგადაც შეუძლია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად, პენსიონერებს შეუძლიათ იკისრონ და პირნათლად შეასრულონ საზოგადოებრივი კონტროლიორის როლი სავაჭრო დაწესებულებებში; დაეხმარონ ქალაქის მილიციას ქუჩებში მოძრაობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში; თვალყური ადევნონ საზოგადოებრივ ადგილებში (ბაღებში, ქუჩებში) სისუფთავის დაცვას, მცენარეთა დაცვას და ა. შ.

სახალხო მეურნეობისათვის, მე მგონია, უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ სასამართლოებში მსაჯულებად არ იგზავნებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც საწარმოებში მუშაობენ. ამით ათასობით კაც-საათი იკარგება, გაცდენა იზრდება. ყოველივე ეს დაღს აჩნევს საწარმოთა მიერ გეგმების შესრულებას. ამავე დროს სახალხო მსაჯულებად საწარმოებიდან წასული პენსიონერების არჩევა სავსებით შესაძლებელი და მიზანშეწონილია.

ჩვენი აზრით, უკვე მომწიფდა საკითხი იმის შესახებ, რომ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან სრული ნებაყოფლობის საფუძველზე შეიქმნას პენსიონერთა საზოგადოებრივი მუშაობის ჯგუფები ან სხვა სახელწოდების ორგანიზაციები, რომლებიც ხალისით, შეგნებულად ჩაებმებიან ამ საქმეში და პატიოსნად შეასრულებენ საზოგადოებრივ დავალებებს.

ვფიქრობთ, ამით დიდ დახმარებას გავუწევთ პარტიას და მთავრობას იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც მათ დაგვისახეს.

**ა. ელიაძე,**
პენსიონერი, ახოთამწყობი.

## მიმართვები და დაპირებები...

„თქვენს განცხადებაზე სახლის ავარიული მდგომარეობის შესახებ, გაცნობებთ, რომ ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე № 43 სახლი შეტანილია 1954 წლის კაპიტალური რემონტის ტიტულში“, — გვწერდნენ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან.

ეს იყო 1953 წელს. მაშინ სახლი კაპიტალურ რემონტს მოითხოვდა. მობინადრენი მოუთმენლად ელოდნენ მომავალ წელს, მშენებელთა გამოჩენას, რემონტის დაწყებას... მაგრამ ამაოდ, მშენებელთა ნაცვლად კვლავ ახალი დაპირებები მოდიოდა. ვინ იცის რამდენი ქაღალდი დაიხარჯა.

დრო კი, როგორც ყოველთვის, თავისას შვრებოდა. თვეებს თვეები და წლებს წლები ემატებოდა. კომუნალურ განყოფილებას ყოველ წელს შეჰქონდა ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე სახლი კაპიტალური რემონტის სატიტულო სიაში, მაგრამ ავიწყდებოდა „უბრალო“ რამ: რემონტის დაწყება.

მიმართვებმა და დაპირებებმა სახლს ვერაფერი უშველა. სახურავი და კედლები ჩამოინგრა, აივანს რკინის არმატურაც კი ჩამოერღვა, წვიმისაგან იატაკი დალპა და ჩაინგრა. სადაც არის მთელი შენობა დაინგრევა.

წელს მობინადრეებმა კვლავ მიიღეს კეთილი დაპირება: თქვენი სახლი კაპიტალური რემონტის ტიტულშია შეტანილიო. მართლაც, სარემონტო კანტორიდან მოვიდნენ სპეციალისტები, მუშები, მოზიდეს საშენი მასალები, ზოგიერთი რამე გააკეთეს, მაგრამ სარემონტო სამუშაოები ჭიანურდება, თანაც უხარისხოდ სრულდება.

**შ. ბულეიშვილი,**
**მ. ჩაკვეტაძე,**
**რ. სარიშვილი,**
ორჯონიკიძის ქ. № 43 სახლის მობინადრენი.



## ორი ძიძის ხელში

ონისა და ამბროლაურის რაიონებს შუა არის ადგილი, რომელსაც მუხლს უწოდებენ. მდინარე რიონზე აქ დიდი ხნის წინათ აგებული იყო ხის არაკაპიტალური ხიდი, რომელიც დროთა ვითარებაში ისე მოძველდა და დაზიანდა, რომ მასზე არა თუ ავტომანქანის, ცხენოსანი კაცის გავლაც კი სახიფათო შეიქმნა.

ეს ადგილი ტერიტორიულად ამბროლაურის რაიონს ეკუთვნის, მაგრამ ხიდით უშუალოდ ონის რაიონის შქმერის, მთისკალთის, ზემო ბარის, ჭიბრევის, ქვემო ბარის, სამთისის კოლმეურნეობები სარგებლობენ. ეს არის აღნიშნულ კოლმეურნეობათა და მოსახლეობის დამაკავშირებელი გზა ამბროლაურთან, ონთან და ონის რაიონის მარჯვენა ნაპირის სოფლებთან.

ორი ძიძის ხელში ბავშვი შიმშილით მოკვდაო, ანდაზად რომ არის ნათქვამი, სწორედ ასეთი მდგომარეობაა ხიდის აგების საქმეში. ონის რაიონის ხელმძღვანელები აცხადებენ: ხიდი ამბროლაურის ტერიტორიაზეა და გაკეთებაც ამბროლაურმა უნდა იკისროსო. ამბროლაურის რაიონის ხელმძღვანელები კი ამაზე უპასუხებენ: ხიდით თქვენი რაიონის კოლმეურნეობები სარგებლობენ და კეთილი ინებეთ გაკეთებაზეც თქვენ იზრუნეთო.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მუხლის ხიდი აუცილებლად შეკეთდეს მიმდინარე წელს მაინც.

**თ. სხირტლაძე,** სოფ. მთისკალთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. გაგნიძე,** სოფ. შქმერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **შ. მესხიშვილი,** სოფ. ზემო ბარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ლ. მაჩაიძე,** სოფ. ჭიბრევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. ლოთვაძე,** სოფ. ქვემო ბარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. მუსერიძე,** სოფ. სამთისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

# ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და ბელადი

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული მიღწევები მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო რევოლუციის მებაირახტრის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადისა და მასწავლებლის, ჩაგრული ერების დამცველისა და მოჭირნახულის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან.

საბჭოთა ხალხი ახალი სოციალისტური სამყაროს აშენებისათვის თავის ბრძოლაში ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს დიდი ლენინის ცხოველმყოფელი მოძღვრებით და იდეებით, მათში ხედავს უშრეტ წყაროს თავისი შემოქმედებისათვის.

მთელი მსოფლიოს მშრომელები ღრმა სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალულნი პროლეტარული რევოლუციის დიდი წინამძღოლისადმი, რომელმაც ბუმბერაზული ძალით წასწია წინ მშრომელთა განთავისუფლების საქმე, გაიყოლია მილიონები კერძო საკუთრების ციხე-სიმაგრეთა ასაღებად და საფუძველი ჩაუყარა ახალ ცხოვრებას, მუშათა კლასის დიქტატურას.

ვ. ი. ლენინმა შექმნა ახალი ტიპის პოლიტიკური პარტია. დიდმა ბელადმა დაგვიტოვა მწყობრი მოძღვრება პარტიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის, მუშათა კლასის გაბედული მებრძოლი ავანგარდის, რკინის დისციპლინით შეკავშირებული, ფოლადის ნებით აღჭურვილი ორგანიზაციის შესახებ. მან შეაიარაღა იგი მოქმედების საბრძოლო პროგრამით. ცხოვრების ჩინამდვილემ დაამტკიცა პარტიაზე ლენინური სწავლების მთელი სისწორე.

კომუნისტურმა პარტიამ რევოლუციური ბრძოლების დიდი და სახელოვანი გზა განვლო. მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პარტია გაიზარდა და იდეურად განამტკიცა თავისი რიგები; მისი ხელმძღვანელობით გამოვიდნენ ისტორიულ სარბიელზე მილიონობით მშრომელი ადამიანები, რომლებმაც ჩამოიშორეს კაპიტალიზმის მძიმე უღელი. ლენინის პარტია სამი რევოლუციის პერიოდში მუშათა კლასის ავანგარდში იყო. კომუნისტურმა პარტიამ მიიყვანა ჩვენი ხალხები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, მისცა მათ შემოქმედებითი ნიჭის განვითარების მძლავრი საშუალება, შექმნა და განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი, ააფრიალა ძველი სამყაროს ნანგრევებზე კომუნიზმის ნათელი დროშა. ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა როლი კომუნისტური პარტიისა, როგორც საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისა საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შეძლო მტკიცედ დაეცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარი და შესდგომოდა სოციალისტურ მშენებლობას.

ავითარებდა რა მოძღვრებას კომუნისტურ პარტიაზე, ლენინი ყოველთვის განსაკუთრებით უსვამდა ხაზს პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის პრინციპს. იგი აღნიშნავდა, რომ პარტია ასწავლის მასებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა და გამარჯვება, მაგრამ ამავე დროს იგი მოვალეა თვით ისწავლოს მასებისაგან, განაზოგადოს ხალხთა მასების მდიდარი გამოცდილება, განავითაროს მათი ინიციატივა ახალი ცხოვრების მშენებლობაში, წარმართოს მშრომელი ხალხის დაუშრეტელი ენერგია სამშობლოს აყვავებისა და ძლიერების განმტკიცებისაკენ. ხალხთა მასებთან სწორედ ასეთ კავშირში ხედავდა ლენინი პარტიის უძლეველობის მტკიცე საფუძველს, რომელიც ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემდა გადაელახა ყველა სიძნელე. ლენინს ღრმად სწამდა პარტია ხედავდა მასში ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს.

ვ. ი. ლენინის სახელთან დაკავშირებულია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. დიდმა ბელადმა მოგვცა კაპიტალიზმის კანონზომიერებათა ულრმესი ანალიზი, აღმოაჩინა იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი და დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმი არის პარაზიტული და ლპობადი კაპიტალიზმი, სოციალისტური რევოლუციის წინადღე. ეყრდნობოდა რა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი და ახალი ისტორიული პირობების გათვალისწინებით შექმნა სოციალისტური რევოლუციის ახალი, დასრულებული თეორია.

საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის კანონების, გზებისა და ფორმების, კომუნიზმის მშენებლობის კანონების აღმოჩენით ვ. ი. ლენინმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი. მან ყოველმხრივ დაამუშავა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, დაასაბუთა დებულება, რომ პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებით.

ლენინი წერდა: „ჩვენ უფლება გვაქვს ვამაყობდეთ და თავს ბედნიერად ვთვლიდეთ იმით, რომ ჩვენ წილად გვხვდა პირველთ დაგვენარცხებია ძირს დედამიწის ერთ კუთხეში ის გარეული მხეცი, კაპიტალიზმი, რომელმაც დედამიწა სისხლით მორწყო, კაცობრიობა შიმშილობამდე და გაველურებამდე მიიყვანა, და რომელიც გარდუვალად და მალე დაიღუპება, რამდენ საშინლად მხეცურიც უნდა იყოს მისი სიკვდილის წინა მძვინვარების გამოვლინებანი“ (თხზ., ტ. 27, გვ. 614).

ვ. ი. ლენინის უდიდესი ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო პარიზის კომუნისა და რუსეთის ორი რევოლუციის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე აღმოეჩინა საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო ფორმა. იგი გვასწავლიდა, რომ, მართალია, სახელმწიფოს ორგანიზაციის ასეთი ფორმა წარმოადგენს რევოლუციის უდიდეს მონაპოვარს, მაგრამ მარტო ეს ფორმა საკმარისი არ არის, რომ საბჭოების უპირატესობათა გამოსავლინებლად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მათდამი ხელმძღვანელობა კომუნისტური პარტიის მიერ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის 40 წლის გამოცდილებამ ცხადყო, რომ საბჭოები, როგორც ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველი, გადაიქცნენ სახელმწიფო ხელისუფლების სრულუფლებიან ორგანოებად. იმიტომ რომ მათ ხელმძღვანელობდა ბრძოლებისა და შრომის ქარცეცხლში გამოწრთობილი და განმტკიცებული კომუნისტური პარტია. კომუნისტური პარტია წარმატებით ახორციელებს ხალხთა მასების ბელადისა და ორგანიზატორის როლს საბჭოებისა და მშრომელთა სხვა საზოგადოებრივი ორგანოების მეშვეობით.

„ლენინის სიდიადე, — ამბობდა ი. სტალინი თავის ცნობილ სიტყვაში ლენინის სიკვდილის გამო, — უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, შექმნა რა საბჭოების რესპუბლიკა, ამით მან საქმით უჩვენა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი არ არის დაკარგული, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა დიდხანს ვერ გასტანს, რომ შრომის სამეფო შეიძლება დამყარდეს თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს მიწაზე და არა ზეცაში. ამით მან განთავისუფლების იმედი აუნთო გულში მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს“ (თხზ., ტ. 6, გვ. 57).

მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს უსაზღვროდ სწამდა ხალხის შემოქმედებითი ძალები, მშრომელთა რევოლუციური ენერგია. იგი სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის წყაროს ხედავდა მის ხალხურობაში, იმაში, რომ სოციალისტური სახელმწიფო შექმნილი იყო თვით ხალხის მიერ და მისი ბატონ-პატრონი მშრომელები იყვნენ. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა და საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განვითარების გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა, რომ საბჭოთა სახელმწიფო მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტურად გარდაქმნაში ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მძიმე მრეწველობის განვითარებას. კომუნისტურ პარტიას სოციალიზმი უნდა აეშენებინა ისეთ ქვეყანაში, სადაც სჭარბობდა წვრილი გლეხური მეურნეობა. ლენინმა თავის შრომებში ღრმად და ყოველმხრივ დაამუშავა სოფლის ახლებურად გარდაქმნის გზები, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩვენი ქვეყნის მშრომელი გლეხობის ჩაბმის საკითხი.

ლენინმა პარტიასა და ხალხს დაუტოვა ფასდაუდებელი საგანძური — დიდი და უძლეველი მეცნიერება ახალი სამყაროს მშენებლობის შესახებ, კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის ძირითადი გეზი.

მიდიოდა რა ლენინის გზით, საბჭოთა ხალხმა პირველმა ისტორიაში შექმნა სოციალისტური სახელმწიფო, გადააქცია თავისი ქვეყანა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, გაანადგურა ყველა ჯურის შინაური და გარეშე მტრები, რომლებიც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ემუქრებოდნენ, მოახდინა მსოფლიოში არნახული კულტურული რევოლუცია.

ცხოვრების სინამდვილემ დაამტკიცა ვ. ი. ლენინის მოძღვრების სრული სისწორე ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ წინააღმდეგ სოციალიზმის მტრების სხვადასხვაგვარი „წინასწარმეტყველებისა“.

„საბჭოთა ხალხის წარმატებებმა, — აღნიშნავდა ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე, — კვამლივით გაფანტა ჩვენი მტრების ლეგენდები, რომ ბოლშევიკურ რევოლუციას თითქოს მოაქვს ნგრევა, ცივილიზაციის თითქმის დაღუპვა. ჩვენი სახელმწიფოს 40 წლის გამოცდილებამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ხალხი, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალაუფლება, ყველაზე გულმოდგინე მეურნეა, სულ ახალ და ახალ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა დაუღალავი შემოქმედია“.

პარტიის მიერ ლენინის წინასწარდასახულობათა საფუძველზე შემუშავებული კომუნისტური მშენებლობის მეცნიერული გეგმით საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ მიდის წინ, სულ უფრო აძლიერებს სოციალისტურ ეკონომიკას, ავითარებს სოციალისტურ კულტურას, სრულყოფს მმართველობას, განამტკიცებს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვით ძლიერებას.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების შედეგად უმაგალითოდ გაიზარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო როლი და ავტორიტეტი. მის ისტორიულ გამოცდილებას, ლენინური მუშაობის სტილსა და მეთოდებს სწავლობენ ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები და წარმატებით იყენებენ მათ თავიანთ ბრძოლაში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

იმ პერიოდში, როდესაც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის პროგრამა, საბჭოთა კავშირი ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო იყო. დიდმა ლენინმა უჩვენა მსოფლიოს ყველა მშრომელს კაპიტალისტური ბატონობისაგან განთავისუფლების სწორი გზა.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როდესაც უჩვეულოდ გაიზარდა დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები, როდესაც სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა. ამჟამად დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი — 950 მილიონ კაცამდე — განთავისუფლებულია იმპერიალისტური უღლისაგან და ახალი ცხოვრების აშენების გზას შესდგომია.

ლენინური გზით საბჭოთა კავშირთან ერთად მიდის ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყანა, რომელმაც მოიშორა მხრებიდან მძიმე უღელი და თავისი ბედის ბატონ-პატრონი შეიქმნა.

მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიები სულ უფრო მეტად აცლიან ნიადაგს ყველა მათ, ვინც რევიზიონიზმის სენით შეპყრობილა, ვინც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში განხეთქილების შეტანას ლამობს. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლების მიერ მიღებული დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, თანამედროვეობის უდიდესი დოკუმენტები, თვალნათლივ მოწმობენ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობასა და სიმტკიცეს, აღაფრთოვანებენ მუშათა კლასსა და მთელი მსოფლიოს მშრომელ კაცობრიობას უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

**მ. ლეკვეიშვილი,**
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედება მხილებულია მთელი მსოფლიოს წინაშე

## უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი. (საკდესი). 21 აპრილს დღის სამ საათზე ნიუ-იორკის დროით (23 საათზე მოსკოვის დროით) დაიწყო უშიშროების საბჭოს სხდომა, მოწვეული საბჭოთა კავშირის თხოვნით, რომ განიხილოს საკითხი სასწრაფო ღონისძიებათა მიღების შესახებ, რათა შეწყდეს ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენა საბჭოთა კავშირის მიმართულებით.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს ა. ა. სობოლევს. თავისი გამოსვლის დასასრულს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„უშიშროების საბჭო,

განიხილა რა საბჭოთა კავშირის მიერ შემოტანილი საკითხი „სასწრაფო ღონისძიებათა მიღების შესახებ, რათა შეწყდეს ატომური და წყალბადის ბომბებით შეიარაღებული ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავების ფრენა საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმართულებით",

მიაჩნია რა, რომ ასეთი ფრენის პრაქტიკა აძლიერებს დაძაბულობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში, საფრთხეს უქმნის ხალხთა უშიშროებას და მის განგრძობას შეიძლება მოჰყვეს საყოველთაო მშვიდობის დარღვევა და გამანადგურებელი ატომური ომის წარმოშობა,

მოუწოდებს შეერთებულ შტატებს თავი შეიკავონ თავისი სამხედრო თვითმფრინავების გაგზავნისაგან, რომლებსაც მიაქვთ ატომური და წყალბადის ბომბები სხვა სახელმწიფოების საზღვრებისაკენ მათი უშიშროებისათვის საფრთხის შექმნის ან სამხედრო დემონსტრაციების მიზნით".

## საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის გამოსვლა უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. (საკდესი). გამოვიდა რა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა განაცხადა:

უშიშროების საბჭო დღეს იმისათვის შეიკრიბა, რომ განიხილოს საკითხი, რომელსაც, საბჭოთა მთავრობის აზრით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ ატომური და წყალბადის ბომბებით შეიარაღებული მათი სამხედრო თვითმფრინავების ფრენა საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმართულებით.

ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები, შეიარაღებულნი ატომური და წყალბადის ბომბებით, არაერთხელ გადაფრენილან არქტიკულ რაიონებზე სსრ კავშირის ტერიტორიის მიმართულებით. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ჩაიდინონ მშვიდობიანი დროის ვითარებისათვის ესოდენ უმაგალითო მოქმედება, ესოდენ უგუნური თამაში მშვიდობის ბედით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასეა. ამჟამად ასეთი ფრენის ვითარება საკმაოდ ცნობილია ამერიკის დეპეშათა სააგენტოს იუნაიტედ პრესის ცნობებით, რომელთა შინაარსი დაადასტურეს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის წარმომადგენლებმა. როგორც ცნობებიდან ჩანს, ყოველთვის, როცა ეგრეთწოდებული ადრე გაფრთხილების ქსელის ამერიკული რადარების ეკრანებზე ჩნდება რაღაც გამოუცნობი საგნები, ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს ელანდებათ სამართავი ყუმბარები, ბალისტიკური რაკეტები და სხვ. უახლოესი შემოწმებით მუდამ ირკვეოდა, რომ ეს გამოსახულებანი ამერიკული რადარების ეკრანებზე გამოწვეული იყო ან ელექტრონული მოვლენებით, ან მეტეორიტების ჩამოვარდნით.

თუ დავუკვირდებით ამ ფაქტების მნიშვნელობას, ძნელი არ არის იმის გაგება, რა ცოტა რამ სჭირდებათ მშვიდობის მტრებს, რომ უფსკრულის პირას დააყენონ კაცობრიობა.

ამერიკელი გენერლები იმოწმებენ იმას, რომ დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავები თავიანთ ბაზებში ბრუნდებოდნენ შუა გზიდან, როგორც კი გამოირკვეოდა, რომ განგაში უსაფუძვლოა. მაგრამ რა იქნება, თუ ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ თავიანთ რადარებს, დროზე ვერ გამოიცნეს, რომ მფრინავი მეტეორი არ არის სამართავი ყუმბარა, ხოლო ბატის გუნდი არ არის ბომბდამშენთა ფლოტილია? მაშინ ამერიკის თვითმფრინავები განაგრძობენ ფრენას და მიუახლოვდებიან საბჭოთა კავშირის საზღვრებს. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესები სსრ კავშირისაგან მოითხოვენ დაუყოვნებლივ მიიღოს შემხვედრი ღონისძიებანი მოახლოებული საფრთხის ასაცილებლად.

საბჭოთა მთავრობას სურს იმედი იქონიოს, რომ საქმე აქამდე არ მივა.

კიდევ უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ მშვიდობის საქმისათვის მეტად საშიში ხასიათი ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებისა, საკმარისია დავაყენოთ კითხვა: რა მოხდებოდა, სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებს ისევე რომ დაეწყოთ მოქმედება, როგორც ახლა მოქმედებს ამერიკის ავიაცია? საბჭოთა რადარების ეკრანებზეც ხომ ჩნდება დროდადრო გამოსახულებანი, გამოწვეული მეტეორების ფრენით ან ელექტრონული მოვლენებით, თუ ასეთ შემთხვევებში ატომური და წყალბადის ბომბებით შეიარაღებული საბჭოთა თვითმფრინავები გაფრინდებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოებში მათი ბაზების მიმართულებით, მაშინ რა მდგომარეობა შეიქმნებოდა? ორივე მხარის საჰაერო ფლოტილიები, შენიშნავდნენ რა ერთმანეთს სადმე არქტიკის ყინულებში ან სხვა ადგილას, ალბათ გააკეთებდნენ ასეთ გარემოებაში ბუნებრივ დასკვნას, რომ მოხდა მოწინააღმდეგის ნამდვილი თავდასხმა. მაშინ მსოფლიოს გარდუვალად დაატყდებოდა თავს ატომური ომის გრიგალი.

ამრიგად, უკვე რამდენჯერმე კაცობრიობა სულ ახლოს იყო კატასტროფასთან, რომელიც შეიძლებოდა მყისვე თავს დასტეხოდა მსოფლიოს პროვოკაციული ან უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად, და ხალხებს აზრადაც არ მოსვლიათ, თუ რა საშიშროება მოელოდა მათ. დასავლეთ ევროპაშიც და თვით შეერთებულ შტატებშიც ტყუილად როდი ლაპარაკობენ შეშფოთებით ამ დღეებში, რომ ყოველთვის, როცა ამერიკის ბომბდამშენები ადიოდნენ ჰაერში თავიანთი ტვირთით და მიემართებოდნენ მათთვის მიცემული კურსით, ისინი მიფრინავდნენ მესამე მსოფლიო ომისაკენ.

საბჭოთა მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატების ეს მოქმედება მიაჩნია აშკარა პროვოკაციად მშვიდობის საქმის წინააღმდეგ. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს ხდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და პირადად პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სანქციით. მაგრამ საწინააღმდეგოც ხომ არავის არ განუცხადებია, არავის არ განუცხადებია, რომ ეს არის სამხედრო სარდლობის თვითნებური მოქმედება და რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მას გმობს.

საბჭოთა ხალხს, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა და გულწრფელად ისწრაფვის იცხოვროს ყველა სხვა ხალხთან მშვიდობით და მეგობრობით, არ შეუძლია არ განიცდიდეს დიდი გულისწყრომის გრძნობას მშვიდობის მტრების ამ მოქმედებასთან დაკავშირებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელსაც მიანდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვა, არ შეასრულებდა თავის მოვალეობას, თუ არ მიიღებდა საჭირო ღონისძიებებს იმ საფრთხის ასაცილებლად, რომელიც გამოწვეულია ატომური და წყალბადის ბომბებით შეიარაღებული ამერიკის ბომბდამშენების ცდებით მიუახლოვდნენ სსრ კავშირის საზღვრებს აგრესიული მიზნით.

ჩვენთვის სავსებით გასაგებია აგრეთვე ევროპის ხალხების შიში და აღშფოთება, რომლებსაც ამერიკის ავიაციის ეს მოქმედება მიაჩნიათ „პროგრესულად მზარდი სიგიჟის" გამოვლინებად. ამერიკის ბომბდამშენთა ფრენა ატომური ომის მრისხანე საფრთხეს უქმნის აგრეთვე ინგლისელებს, ფრანგებს, დასავლეთ გერმანიის მცხოვრებლებს, ყველა იმ ქვეყნის ხალხებს, რომლებიც შებოჭილი არიან სამხედრო ვალდებულებებით ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე და რომლებმაც ნება მისცეს განელაგებინათ მათს ტერიტორიაზე ამერიკის ატომური და რაკეტული ბაზები. მდგომარეობის საშიშროებას მათთვის აძლიერებს აგრეთვე ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავები ატომური და წყალბადის ბომბებით მთელი დღე-ღამეების განმავლობაში დაფრინავენ ამ ქვეყნების საჰაერო სივრცეში.

და თუ შეერთებულ შტატებში ვინმეს ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ ატომური ომის ქარიშხალი სხვა მიმართულებით წავა, ასცდება ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს, უნდა ითქვას, რომ, როგორც არაერთხელ აღუნიშნავს საბჭოთა მთავრობას, ეს მხოლოდ ილუზიაა. ჩვენს დროში შეუძლებელია იმის არ დანახვა თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ატომური და წყალბადის ბომბებით ჯამბაზობას თვით ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, მილიონობით ამერიკელის სიცოცხლისათვის.

ჭეშმარიტად, შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს მსოფლიო ნამდვილად ჰყავთ ომის ზღვარზე.

იმ საფრთხის საკითხის განხილვისას, რომელსაც საერთაშორისო უშიშროებას უქმნის ატომური და წყალბადის ბომბებით შეიარაღებული ამერიკის სტრატეგიული ავიაციის ფრენა, უშიშროების საბჭომ მხედველობიდან არ უნდა გაუშვას, რომ ეს ერთეული და მით უფრო შემთხვევითი ფაქტი კი არ არის, არამედ სავსებით გარკვეული პოლიტიკის გამოვლინებაა. ყოველ დღეს მოაქვს იმის ახალი და ახალი დადასტურება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში სულ უფრო უქვემდებარებენ თავიანთ საგარეო პოლიტიკას და თავიანთი ქვეყნების საშინაო ცხოვრებას ერთ მიზანს — რაკეტულ-ატომური ომისათვის მზადებას. იმ სამხედრო ბლოკებში ჩაბმულ სახელმწიფოებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ, თავს ახვევენ ამერიკის ატომური ბაზებისა და რაკეტული იარაღის გასაშვები სასტარტო მოედნების განლაგებას. სულ ამ ცოტა ხნის წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აქტიური წაქეზებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური შეიარაღების შესახებ, რამაც გამოიწვია ხალხთა, განსაკუთრებით ჰიტლერული აგრესიით დაზარალებული ქვეყნების ხალხთა გასაგები აღშფოთება. ზედიზედ იმართება ნატოს ორგანოების სხვადასხვაგვარი თათბირები, მიძღვნილი გამალებული ატომური შეიარაღების შემდგომი გაფართოებისადმი, და ყოველივე ამასთან ამერიკის ბომბდამშენები სარისკო გამოხდომებს აწყობენ სსრ კავშირის საზღვრებისაკენ, თან მოაქვთ რა ატომური და წყალბადის ბომბების ტვირთი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ მთელი ეს საშიში ღონისძიებანი სწორედ იმ მომენტში ხორციელდება, როცა მიმდინარეობს მზადება უმაღლეს დონეზე სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირის მოსაწვევად იმ მიზნით, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და შემცირდეს ახალი ომის საფრთხე. თუ გავითვალისწინებთ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს და ანგარიშს გავუწევთ იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა, მოსალოდნელი იყო, რომ ყველა ამ სახელმწიფოს მთავრობები შეიკავებენ თავს იმ ნაბიჯებისაგან, რომლებიც ართულებენ უმაღლეს დონეზე მომავალი თათბირის მომზადებას, რომლის მოწვევასაც ხალხები მოითხოვენ. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატები — ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო უშიშროების საბჭოს იმ მუდმივ წევრთაგან, რომელთაც მთავარი პასუხისმგებლობა აკისრიათ მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, ახორციელებენ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს.

სურს რა ნამდვილად შეუწყოს ხელი საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას და სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობის დამყარებას, საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, მოახდინა თავისი შეიარაღებული ძალების ფართო შემცირება. ამა წლის 31 მარტს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დიდმნიშვნელოვანი დადგენილება საბჭოთა კავშირში ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის კეთილი ნების ამ აქტებს უპასუხებენ თავიანთი სამხედრო ავიაციის გამომწვევი მოქმედებით.

საბჭოთა მთავრობას მრავალგზის მიუქცევია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება იმისათვის, რომ მზარდი გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის" გაღვივების პოლიტიკა, რასაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ხელმძღვანელები, დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. ძნელია კაცმა იპოვნოს ასეთი პოლიტიკის საშიშროების უფრო მკვეთრი მაგალითი, ვიდრე არის ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთული ამერიკული თვითმფრინავების ავანტიურისტული ექსპედიციები საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ.

სსრ კავშირის მთავრობა, რომლის საგარეო პოლიტიკის უმაღლესი მიზანი იყო და ახლაც არის მშვიდობის უზრუნველყოფა ხალხთა შორის ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე, მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების აღნიშნული მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთულ ბომბდამშენთა გზავნა საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ.

საბჭოთა მთავრობამ თავის 1958 წლის 18 აპრილის განცხადებაში ამ საკითხზე მოუწოდა ყველა სხვა ქვეყნის მთავრობებს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს, ისე არაწევრებს, აგრეთვე აღიმაღლონ პროტესტის ხმა და იბრძოლონ იმისათვის, რომ ხალხები გადარჩნენ ამერიკის ავიაციის აღნიშნულ მოქმედებასთან დაკავშირებული საშიშროების კოშმარს.

ამ პირობებში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს და შეუძლია შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელსაც ეკისრება განამტკიცოს მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის საქმე და იხსნას მომავალი თაობა ომის უბედურებისაგან, როგორც ეს წერია მის წესდებაში.

გასული წლის დეკემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ. გამოთქვა რა ხალხთა საერთო ნება, გენერალურმა ასამბლეამ აღნიშნა, რომ საჭიროა შენელდეს დაძაბულობა სახელმწიფოთა შორის და მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს განახორციელონ ღონისძიებანი საერთაშორისო მშვიდობის განსამტკიცებლად და მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განსავითარებლად. ამ რეზოლუციას ხმა მისცა ამერიკის დელეგაციამაც. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ისეთი მოქმედება, როგორიც არის ატომგულის იარაღით დატვირთული თვითმფრინავების გაგზავნა საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ, სრულიად არ შეესაბამება იმ ვალდებულებებს, რომლებიც ამ რეზოლუციიდან გამომდინარეობენ სახელმწიფოებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, მათ შორის გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზეც არაერთხელ გაისმოდა შეშფოთებული ხმები ბევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებისა, რომელთაც აწუხებთ ის, რომ გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის" გაღვივების შედეგად იზრდება სამხედრო კატასტროფის მრისხანე საფრთხე.

შესაძლოა ამჯერადაც მოინახონ ისეთი ადამიანები, რომლებიც შემოღებული შაბლონით გაიმეორებენ, რომ, აღძრა რა ეს საკითხი უშიშროების საბჭოს წინაშე, საბჭოთა კავშირი თითქოს „პროპაგანდას" ეწეოდეს.

ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ისეთ ხერხებს, როცა ომის საფრთხის შესამცირებლად გადადგმულ ყოველ ნაბიჯს „პროპაგანდად" აცხადებენ. მაგრამ როგორც ცნობილია, სუფთას ჭუჭყი არ ეკარება.

დიახ, საბჭოთა კავშირი გამოდის და ყოველთვის გამოვა მშვიდობის დამცველად, მთელი სიმტკიცითა და ენერგიით იბრძოლებს მშვიდობის დარღვევის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ არის ძალები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული იმით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა უშიშროების საბჭომ დაგმონ მოქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას. სიტყვით ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებისათვის იბრძვიან, საქმით კი იყენებენ მას, როგორც სახელმწიფოთა შორის მტრობის გაღვივების ტრიბუნას. როგორც კი ცხოვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე აყენებს ამოცანას განახორციელოს ღონისძიებანი ომის წარმოშობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ჩნდებიან ძალები, რომლებიც აქარწყლებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებებს ამ მიზნის მისაღწევად. ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობები აშკარად ამჯობინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უღღეური და უძლური ორგანიზაცია იყოს, რომელიც ვერ შეძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხების წინაშე. მშვიდობის ინტერესები, თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესები მოითხოვენ, რომ ამჯერად ასე არ მოხდეს.

საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში. სსრ კავშირის დელეგაცია მოელის, რომ უშიშროების საბჭო, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობის დაცვისათვის, იმ საკითხში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, დაიკავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი პრინციპებისა და მიზნების შესაფერის პოზიციას.

საბჭოთა დელეგაციას უშიშროების საბჭოს განსახილველად შემოაქვს პროექტი რეზოლუციისა განსახილველი საკითხის შესახებ და იმედს გამოთქვამს, რომ ამ პროექტს მხარს დაუჭერენ უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოები.

## კ. ე. ვოროშილოვი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში

ვარშავა, 22 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ პოლონეთის საფეიქრო მრეწველობის ცენტრში — ქალაქ ლოძში.

## ერთობლივი კომუნიკე საბჭოთა კავშირ-მაროკოს სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ

1958 წლის 8-19 აპრილს მოსკოვში მიმდინარეობდა სავაჭრო მოლაპარაკება სსრ კავშირისა და მაროკოს სამეფოს დელეგაციათა შორის.

ეს მოლაპარაკება, რომელიც თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, 19 აპრილს დამთავრდა იმით, რომ ხელი მოაწერეს სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმებას სსრ კავშირსა და მაროკოს სამეფოს შორის. შეთანხმებულია აგრეთვე ერთი წლის ვადით ურთიერთ მისაწოდებელი საქონლის სიები. ორივე მხარემ სავაჭრო შეთანხმების თანახმად ერთმანეთს მიანიჭა უმეტესი მფარველობის ერის რეჟიმი სავაჭრო ურთიერთობის საკითხებში. გადასახდელის შეთანხმება აწესრიგებს ანგარიშებს კლირინგის საფუძველზე.

ურთიერთ მისაწოდებელი საქონლის სიები ითვალისწინებენ საქონელბრუნვის მნიშვნელოვან გადიდებას სსრ კავშირსა და მაროკოს სამეფოს შორის.

საბჭოთა კავშირი მაროკოს მიაწვდის ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, სამანქანო მოწყობილობას, დახერხილ მასალებს, ქიმიურ პროდუქტებსა და სხვა საქონელს.

მაროკო სსრ კავშირს მიაწვდის ციტრუსებს, მატყლს, ტყავის ნედლეულს, კორპის ხის ქერქს, თევზის კონსერვებსა და სხვა საქონელს.

შეთანხმებას ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის მხრივ საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი, მაროკოს მხრივ — ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს მრეწველობისა და ვაჭრობის სტატს-მდივანი აჰმედ ბენკირანი.

20 აპრილს მაროკოს სამეფოს მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაური სტატს-მდივანი აჰმედ ბენკირანი მოსკოვიდან გაემგზავრა.

## კოლომბოში გაემგზავრა საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელი

ცეილონის მუშათა დემოკრატიული კონგრესის მიწვევით მოსკოვიდან კოლომბოში გაფრინდა საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელი მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

## სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის განცხადება მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღის გამო

დღეს აღინიშნება მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე.

სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტმა მიიღო განცხადება, რომლითაც მილიონობით საბჭოთა ჭაბუკისა და ქალიშვილის სახელით გადაჭრით გმობს კოლონიალიზმს ყველა მისი ფორმით.

კოლონიალიზმი, — ნათქვამია განცხადებაში, — ჩვენი საუკუნის სამარცხვინო მოვლენაა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო კოლონიალიზმს ყოფილი მეფის რუსეთის ტერიტორიაზე. სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა ახალი ცხოვრება, რომელიც ეყრდნობა ხალხთა თანასწორობასა და ძმურ მეგობრობას. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდობა სოლიდარულია კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდობისადმი.

ახალგაზრდობის ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ — ეს ამავე დროს ბრძოლაა ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

კოლონიალიზმი — ეს არის ომი.

მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად საბჭოთა კავშირის ჭაბუკები და ქალიშვილები დიდად აღშფოთებულნი არიან სისხლისმღვრელი ომით, რომელიც კოლონიზატორებმა გააჩაღეს ალჟირისა და კამერუნის ხალხების წინააღმდეგ, იმპერიალისტების ხრიკებით ინდონეზიაში. საბჭოთა ახალგაზრდობა მტკიცედ მოითხოვს ომის შეწყვეტას ალჟირსა და კამერუნში, და მხარს უჭერს ინდონეზიის ახალგაზრდობის ბრძოლას თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული ერთიანობისათვის.

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში აფრიკის ქვეყნების მილიონობით მოსახლეობამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ყოფილ კოლონიათა ტერიტორიაზე შეიქმნა 25 დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.

დაე ცოფები ყარონ კოლონიზატორებმა — მათ არ ძალუძთ ისტორიის უკან დაბრუნება. კოლონიალიზმის დრო წავიდა. განთავისუფლების მზე თავს დანათის აზიისა და აფრიკის უსაზღვრო სივრცეებს.

საბჭოთა ახალგაზრდობა მეგობრობისა და სრული მხარდაჭერის ხელს უწვდის თავის ძმებსა და დებს კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში!

დაე განმტკიცდეს და განვითარდეს ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის მეგობრობა!

## ამერიკელი კალათბურთელები მოსკოვში

მოსკოვში სტუმრად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები, რომლებიც დედაქალაქში, თბილისსა და ლენინგრადში გამართავენ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას საბჭოთა კავშირის გუნდებთან.

ამერიკის სპორტსმენთა დელეგაციაში შედის 32 კაცი, აქედან 12 კალათბურთელი ქალი და ამდენივე კალათბურთელი ვაჟი.

## მატჩ-რევანში

მსოფლიო პირველობაზე ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის საჭადრაკო მატჩ-რევანში დასასრულს უახლოვდება.

მე-18 პარტიაში, რომელიც გადადებული იყო მსოფლიო ჩემპიონის პოზიციური უპირატესობით, წარმატება მოიპოვა მ. ბოტვინიკმა და გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა.

მე-19 პარტია ვ. სმისლოვმა ძლიერად ჩაატარა და 35-ე სვლაზე გაიმარჯვა.

მატჩის ანგარიშია 11:8 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მე-20 პარტია.

## საერთაშორისო შეხვედრა

ქ. გენტში დამთავრდა საერთაშორისო შეხვედრა ფარიკაობაში, მიძღვნილი ბრიუსელის მსოფლიო გამოფენის გახსნისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს 15 ქვეყნის წარმომადგენლებმა.

რაპირით ბრძოლაში ქალთა შორის გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა ა. ზაბელინამ (სსრ კავშირი), ვაჟთა შორის — კლოსმა (საფრანგეთი).

## ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში.

ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ქალთა შორის — ძვირზე და თავისუფალ ვარჯიშში ლ. ლატინინამ (კიევი), ბჯენით ხტომაში — ლ. ლატინინამ და ს. მურატოვამ (მოსკოვი), ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში — რ. ბორისოვამ (კიევი); ვაჟთა შორის — თავისუფალ ვარჯიშში — ბ. ტკაჩევმა (ლვოვი), ტაიჭზე, ორძელსა და ძელზე ვარჯიშში — ბ. შახლინმა (კიევი), რგოლებზე ვარჯიშში — ა. აზარიანმა (ერევანი) და ა. სობოლევმა (მოსკოვი), ბჯენით ხტომაში — ი. ტიტოვმა (კიევი).

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

XX საიუბილეო ჩემპიონატის დაწყებიდან ერთ თვეზე მეტმა ხანმა განვლო. პირველობისათვის მებრძოლმა კოლექტივებმა დღემდე 33 მატჩი გამართეს, რაც პირველი წრის შეხვედრათა ნახევარს წარმოადგენს.

უკანასკნელი 6 მატჩის შემდეგ — ცსკ მო — „ადმირალტეეცი" (3:1), კიევის „დინამო" — მოსკოვის „დინამო" (2:0), „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (1:1), „მოლდოვა" — „ლოკომოტივი" (1:1), „კრილია სოვეტოვი" — „სპარტაკი" (1:3), „შახტიორი" — „ტორპედო" (0:0), პირველობის გათამაშების ცხრილის სათავეში მოსკოვის „სპარტაკი" მოექცა, რომელსაც 6 თამაშიდან 9 ქულა აქვს.

თბილისის „დინამოს" გუნდი სტალინოში გაემგზავრა, სადაც 26 აპრილს შეხვდება ადგილობრივ „შახტიორს".

„კომუნისტის" მორიგი ნომერი გამოვა 26 აპრილს.

რედაქტორი პ. რატიანი.


**დისერტაციის დაცვა**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი (ძერჟინსკის ქ. № 8).

1958 წლის 6 მაისს დღის 2 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად გიორგი ალექსის-ძე ძიძარია დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX веке (до крестьянской реформы 1870 г.)".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

შვილები ივანე, კოტე, ანდრო, სარა, ელენე, თამარ, მეტია, თინა, რძლები ალექსანდრა, ქეთო, მარო, სიძე ს. მეგრელიშვილი ოჯახით; რეზო, ეთერ, აბესალომ, ეთერ კვაშალები, ნ. ქებაძე, დავით, სულიკო ჩავლეიშვილები იუწყებიან **ალექსანდრა ალმასხანის ასულ კვაშალის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-IV, 6 ს. სოფ. ბოხვაურში (მახარაძის რ.).

მეუღლე თამარ, შვილები ვარლამ, ეთერ, ზინა, და ბაბინე, ძმა სერგო, რძლები ზინა, ალექსანდრა, სიძეები ი. ცხომელიძე, ა. ღლონტი შვილებით; თამაზ, თამილა შალიკაშვილები იუწყებიან **დიმიტრი მიხეილის-ძე შალიკაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV სოფ. შემოქმედში (მახარაძის რ.).

მეუღლე ქეთევან, შვილი ავთანდილ, დები ზინა, კატუშა, ბიძა ივანე რუხაძეები, სიძე მირონ კოჩიაშვილი ოჯახებით იუწყებიან **ვლადიმერ ვლადიმერის-ძე რუხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-IV, 8 ს. გამოსვენება 26-IV 4 ს. ი. ჭავჭავაძის პრ. № 12.

შვილები ბაბილინა, გრიგოლ, დიმიტრი, ბარნაბ, ალექსანდრე, თეოფილე, თამარ, ძმა სერგო წერეთელი; ვალენტინა, ოლია, შალვა, გიორგი, სიმონ, საბა ჯაფარიძეები ოჯახებით იუწყებიან **მარიამ მერაბის ასულ ლომიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-IV სოფ. ბესლეთში (სოხუმის რ.).

საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ბიო-ორგანიული ქიმიის კათედრის თანამშრომლები მ. ვაბუნია გ. ქიქოძე, დ. ვარდოსანიძე, მ. შენგელია იუწყებიან **თემურ მამათელაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები ალექსანდრა, ნათელა, მიხეილ, ივანე, რძლები თალიკო, თინა ცხადაიები ოჯახებით იუწყებიან **ნინუცა ივანეს ასულ კუხალეიშვილი-ცხადაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-IV ქ. ზუგდიდში, გამოსვენება თბილისი ქ. № 1.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიული ფაკულტეტის 299-ე ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან **ალექსანდრე ანთიას** გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ამავე ინსტიტუტის თანამშრომელ **ელიზა ნესტორის ასულ ნანაძე-ცქიფურიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე თინა, შვილები ზაირა, ნანული, და ქსენია, ძმები კოკი, მირიან, რძლები ფედოსია, ეთერ, სიძეები ცაცაძე, დავითაია ოჯახებით იუწყებიან **ვლადიმერ მიხეილის-ძე თოფურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV სოფ. ონტოფოში (აბაშის რ.).

მეუღლე არჩილ, შვილები თინა, პაშა, ვახტანგ, რძლები ციცინო, ალექსანდრა, სიძე ვ. ამაშუკელი; ნუკრი, გელა იუწყებიან **სოფიო მაქსიმეს ასულ ხვედელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV, 5 ს. ხაშურში, გამოსვენება ტელმანის შესახვ. № 13.

შვილები ლუკა, ვასილ, ნუნუ, ქსენია, რძლები ზინა, თინა, სიძეები გ. ჯაბიშვილი, თ. დოლიძე ოჯახებით იუწყებიან **იოსებ ლუკას-ძე მაღლაფერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-IV, 8 ს. გამოსვენება 26-IV, 5 ს. ვარციხის ქ. № 16.

მეუღლე ელპიტე, შვილები მიხეილ, ზინა, ტოგო, რძლები ციცინო, ნათელა, სიძე ბ. ქორქია; რუსუდან, რომან, ლიანა, რამაზ, ია, ზურაბ იუწყებიან **ესტატე ივანეს-ძე სესკურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-IV, 7 ს. სოფ. ქვემო ჭალადიდში (ფოთის რ.).

შვილები პელაგია, ეკატერინე, ნიკოლოზ, მარიამ, ივანე, ანა, სოსო, თამარ, რძლები ალექსანდრა, ეკატერინე, ქეთევან, სიძე მ. ლოლაძე ოჯახებით იუწყებიან **ოლღა სოლომონის ასულ გამგებელი-იორამაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV სოფ. დირბში (ქარელის რ.).

დები ნინო, ნადია, ანეტა, ძმა კალე, რძალი ეკატერინე, სიძეები ქ. ვასაძე, მ. კოპლატაძე შვილებით; პელაგია, ნესტორ გუბელიძეები იუწყებიან **ვასასი სერაპიონის ასულ თავართქილაძე-გუბელიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ოლია, შვილები მედეა, თინა, ლენა, ლილი, ციური; სიძე ზ. რუაძე, დები ს. ბერიაშვილი, მ. სირბილაშვილი ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ ილიას-ძე მხუქნიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV სოფ. მუკუზანში (გურჯაანის რ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თანამშრომლები იუწყებიან **ესტატე გიორგის-ძე წერუაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ბიო-ორგანიული ქიმიის, არაორგანიული ქიმიის და ფიზიკის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **დიმიტრი ყარამანის-ძე შენგელიას** გარდაცვალებას.

თ. ანასარიძე, ს. ლანდია, ა. მიტანიშნი, ა. ტონია, ე. ზაქარაია, ე. მექიტაშვილი, ს. პუდოვა, გ. ქაჩიბაია, 5 მჟავია, ჰ. ლაშქარაძე იუწყებიან პატარა **ზურაბ აკაკის-ძე ჯიბლაძის** გარდაცვალებას.


უე 02535 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.